ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო

უნივერსიტეტი

აგრარულ-მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ესმა ანანიძე

ბიზნესის სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმის გავლენა ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ბიზნესის მართვის დოქტორი,
მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჭაური -2020

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ის მიგენებები და ყურადსაღები თემები, რომლებიც შეიძლება გაუმჯობესდეს და დაიხვეწოს ქართული ეკნომიკის წინსვლისათვის. აღწერილია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტის ქვეყნისა, კერძოდ კი რეგიონის აღმშენებლობით პროცესში.

სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი სამი ფუნქცია გამოიყოფა ესენია: ფულადი ფონდების წარმოქმნა, მათი განაწილება-გადანაწილება და კონტროლი. შესაბამისად მიმაჩნია რომ სწორედ ამ სამი ფუნქციის ამოსავალი წერტილი მიდის სახელმწიფოს მთავარ ფუნქციამდე რასაც ჩვენ მასტიმულირებელ ფუნქციას ვუწოდებთ.

ეს უძლიერესი ბერკეტი საშუალებას იძლევა სწორად დავისახოთ და ვმართოთ პრიორიტეტები, დროულად ავიცილოთ მოსალოდნელი რისკები და გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საერთო სოციალური ფონი. დღეს ისე როგორც არასდროს ფულადი ფონდის შექმნა, მაშინ როცა პანდემია მთელ მსოფლიოზეა მოდებული, საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, თუმცა საბედნიეროდ საერთაშორისო თანადგომისა, ჩვენ ჯერ კიდევ ვახერხებთ თამამად შევერკინოთ ახალ იდეებს და წინ მივიწევს ნელი მაგრამ სტაბილური ნაბიჯებით.

აღნიშნული ნაშრომით შევეცადეთ თავი მოგვეყარა იმ გამოცდილებებზე, რაც სახელმწიფომ გაიარა ბიზნესის დასაფინანსებლად აქამდე და რა შეძლო, ან ვერ შეძლო. რა უნდა გაკეთებულიყო უკეთესად და რისი გამოსწორება და დახვეწა შეგვიძლია მომავალში.

Annotation

The paper presents the findings and important topics that can be improved and refined for the advancement of the Georgian economy. The role and importance of the state as one of the main levers in the reconstruction process of the country, in particular the region, is described.

The three main functions of public financial policy are: the generation of monetary funds, their distribution and control. Accordingly, the starting point of these three functions goes to the main function of the state, which we call the stimulus function.

This powerful lever allows us to properly manage priorities, avoid expected risks in a timely manner, and improve the social background of the population. Today, as never before, creating a cash fund, while the pandemic is spreading all over the world, is quite a difficult task, but fortunately with international support, we are still able to boldly come up with new ideas and move forward with slow but steady steps.

In this paper, we have tried to build on the experiences that the state has gone through to finance business so far and what it has been able to do or has not been able to do. What needs to be done better and what we can correct and refine in the future.

სარჩევი:

შესავალი ----------5

<u>თავი I. ბიზნესის დაფინანსების წყაროები, მიზნები და შედეგები ----------7</u>

1.1 ბიზნესის არსი, სახეები და ძირითადი მახასიათებლები----------7

1.2 ბიზნესის დაფინანსების მიზნები და ფორმები----------13

1.3 ბიზნესის როლი, ადგილი და გავლენა ეკონომიკაზე ----------16

<u>თავი II. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ეტაპები და სტატისტიკა ----------19</u>

2.1 ადგილობრივი ბიზნესის დახვეწისა და განვითარების ხელშეწყობის საზღვარგარეთული გამოცდილება----------19

2.2 ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების მექანიზმი საქართველოში----------26

<u>თავი III. აჭარის მთიანეთის ბიზნეს-გარემო და მოქმედი სახელმწიფო პროგრამები --30</u>

3.1სამეწარმეო გარემოს მიმოხილვა აჭარის მუნიციპალიტეტებში და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები- SWOT ანალიზი.----------30

3.2ბიზნესის დაფინანსების პარტნიორი ინსტიტუტები, მუნიციპალური პროგრამების ანალიზი აჭარის მთიანეთში.----------35

3.3 ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების ძლიერი და სუსტი მხარეები და სრულყოფის ღონისძიებები თანამედროვე ეტაპზე----------42

დასკვნები და რეკომენდაციები ----------47

გამოყენებული ლიტერატურა ----------51

დანართები----------54

შესავალი

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიზნესის განვითარება ვინაიდან ეს საბოლოო ჯამში გადის არაერთ დადებით შედეგზე. უპირველესად ძლიერი რეგიონი ეს არის ძლიერი გლეხი, მეწარმე, მოქალაქე და მათ შორის ეკონომიკურად ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ირჩინოს საკუთარი თავი. ლოკალური მიდგომა და ამ დაყოფილი ნაწილების დახვეწა, დამუშავება უფრო მრავლისმომცემია, ვიდრე ზოგადი და საერთო მიდგომა. ამ დროს ნათლად ირკვევა ცალკეული პრიორიტეტები, შესაძლებლობები, პოტენციალი რაც უზრუნველყოფს სწორი ორიენტირის არჩევას. ძლიერი რეგიონი ეს არის ძლიერი სახელმწიფო, როგორც იტყვიან ,,ძალა ერთობაშია" და რაც უფრო ბევრი ძლიერი ერთეული იქნება ამ მოცემულობაში უფრო მძლავრი იქნება გაერთიანებაც.

აღნიშნულ თემაში განხილულია თითქმის ყველა ის საკითხი, რაც ემსახურება აჭარის რეგიონის წარმოების, ბიზნესის სფეროს დახვეწას და განვითარებას. მოყვანილია მაგალითები საზღვარგარეთული ქვეყნებისგან და შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც დაგვეხმარება დავინახოთ, შევადაროთ და შევაფასოთ ის ცვლილებები რაც გამოიწვია სხვადასხვა პროექტების დანერგვამ რეგიონში.

კვლევის მიზანია: საუკეთესო გამოცდილების და მაგალითების განხილვით ნათლად წარმოაჩინოს ის ამოცანები, რაც დგას სახელმწიფოს წინაშე დღეს ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების მიმართულებით. ხაზი გაუსვას იმ ძლიერ და ნაკლოვან მხარეებს რომლებიც ხელს უწყობს ან უშლის ბიზნესის განვითარებას და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გაძლიერდეს ბიზნესი ადგილობრივი მიმართულებით.

კვლევის საგანია: აღნიშნული კვლევის საგანს წარმოადგენს, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების დაფინანსების წყაროები, დაფინანსების ბერკეთი და ძირითადი ორიენტირი.

კვლევის ობიექტი: აღნიშნული ნაშრომის ძირითადი ობიქტებია სახელმწიფო როგორც ძირითადი მასტიმუირებელი ორგანო ადგილობრივი ბიზნესისა, ინვესტორი ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს მუნიციპალურ დონემდე და ბიზნეს სუბიექტები.

კვლევის მეთოდოლოგია: არსებული ვითარებიდან გამომდინარე ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა და ონლაინ სივრცეში არსებული პუბლიცისტური გამოცემები. ვიხელმძვანელეთ როგორც ქართული ისე უცხოელი ავტორების მიერ შესრულებული კვლევებით და ნაშრომებით. ასევე აქტიურად ვსარგებლობდით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდით, ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ვებ გვერდითა და მათი კვლევებით.

კვლევის მეთოდები:ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივ რაოდენობრივი მაჩვენებლები. სტატისტიკური მონაცემები სტატისტიკის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და მათი ანალიზური მაჩვენებლები. ჩართულია ასევე კითხვარი რომლის დროსაც ვიხელმძღვანელეთ რა თქმა უნდა ელექრონული ფორმით და გავაკეთეთ კითხვარის ანალიზი. მეთოდი გამოკითხვისა შერჩევითი ტერიტორიული არეალი მათ შორის აჭარის მუნიციპალიტეტები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:ნაშრომის მოცულობა შედგება სულ 54 გვერდისაგან. მასში განხილულია 3 თავი და 8 პარაგრაფი. ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, ასევე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართები.

თავი I. ბიზნესის დაფინანსების სახეები, მიზნები და შედეგები

1.1 ბიზნესის დაფინანსების არსი, სახეები და ძირითადი მახასიათებლები

ბიზნესი ეს არის ინდივიდთა ორგანიზებული მცდელობა, უზრუნველყონ საზოგადოება საქონლითა და მომსახურებით. გარდა ამისა, ბიზნესი კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობაცაა. ბიზნესმენი კი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ,,საქმიან ადამიანს“.

გეგმიური ეკონომიკიდან შოკური თერაპიით გადმოსვლამ საბაზრო ეკონომიკაზე, თავდაყირა დააყენა ქვეყნის თვითმყოფადობა და ზოგადად სახელმწიფოებრიობა. ძალიან რთული ამოცანის წინაშე დადგა იმ პერიოდში საქართველო. უამრავი პრობლემა იყო მოსაგვარებელი და უპირველეს ყოვლისა რა თქმა უნდა კარგი სამოქმედო გეგმა, რომლისთვისაც არ გვქონდა პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ ამიტომაც, ჩვენი ეკონომიკური განვითარების ტენდენცია ნაკლებ სახარბიელოა და ჯერ კიდევ ბრძოლობს ქვეყანა თვითგადარჩენისთვის და დამკვიდრებისთვის. საქართველო ჯერ კიდევ დამოკიდებულია და კონკურენციას ვერ უწევს საღვარგარეთიდნ შემოტანილ პროდუქციას, რასაც ბუნებრივია მოაქვს მეტი დანახარჯი.

განვითარებული ქვეყნებისათვის (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), საწარმოებს შორის მცირე და საშუალო მეწარმეობას დიდი ადგილი უკავია, ქმნის საწარმოო საქმიანობის 50%-ზე მეტს და დასაქმების კუთხით ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში აღნიშნული მაჩვენებელი კი, ისეთი ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა და სადაც მუდამ არის შიმშილი სამუშაო ადგილებზე, უპრიანია ბიზნესის, როგორც ერთ-ერთი მსხვილი რგოლის წილი დიდია დამსაქმებლის როლში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და

საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები.

აღნიშნული სტატისტიური მონაცემებით დგინდება და დასტურდება რაოდენ მნიშვნელოვანია, კერძო სექტორის სიმყარე და კონკურენტუნარიანობა სახელმწიფოში. კარგად ჩანს, რა ძალა და გავლენა აქვს მთლიან ეკონომიკაში კერძო ბიზნესს და მეწარმეობას. სულ მცირე ამ მიზეზით მაინც უნდა დაფასდეს და ყუტადღება მიექციოს ამ სფეროს.

ნებისმიერი ბიზნესმენისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს საქმიანობის დაწყებისას, წარმოადგენს ფინანსების მოძიება. ამავდროულად გამოუცდელობა საკმაოდ დიდ ბარიერს ქმნის. ბიუჯეტი, ფინანსები, შემოსავლები, ხარჯები და სხვა როცა გვესმის უმრავლესობას უკვე თვალწინ უდგას უამრავი ფურცელი, გადასახადები ჯარიმები პროცენტები და უკვე შიში ეუფლება როს გამოც ხშირად უკან იხევს ხოლმე. თუმცა ამის გამოსასწორებლადაც შეიძლება მოიძებნოს შესაბამისი გზა თუნდაც დაფინანსების მოიძიება რისი არაერთი გზაც არსებობს.

კაპიტალის დაფინანსების ძირითადი წყაროებია:

• პირადი ფინანსები - საკუთარი ბიზნესის დაფინანსება საკუთარი დანაზოგიდან ან პირადი ქონების გაყიდვიდან. არის ხოლმე დრო როცა გვაქვს საშუალება მიღებული ბონუსი, პრემია, ანაბარი და ა.შ. გვიგროვებს საკმარის თანხას რათა სხვისი დახმარების ნაცვლად თვითონ შევძლოთ ბიზნესის წამოწყება ან გაფართოება.

• საწარმოს კაპიტალისტები - პროფესიონალი ინვესტორები, რომლებიც დიდ სახსრებს დებენ ბიზნესში (როგორც კაპიტალი), მაღალი ზრდისა და მოგების პოტენციალით. არის ხოლმე რომ ერთი ადამიანის ხელში მოიყრის თავს თავისუფალი ფინანსები და მეორის ხელთ აღმოჩნდება ნიჭი, უნარი, ნოვატორული აზროვნება, ასე ვთქვათ ერთგვარი ეკონომიკური ხედვა, ბიზნესის ალღო, ამიტომაც მათ შორის კავშირის დასაჭერად საღი აზრია რომ ეს პროფესიონალი ინვესტორები აფინანსებენ და

უზრუნველყოფენ მსგავსი ნიჭის ადამიანების იდეებს გარვეული სარგებლის სანაცვლოდ .

• ოჯახი ან მეგობრები - შეიძლება უზრუნველყონ ბიზნესი ფულადი შენატანით, თქვენი ბიზნესის წილის ან პარტნიორობის სანაცვლოდ. ფრთხილად გაითვალისწინეთ ეს ვარიანტი, რადგან საქმიანი ურთიერთობების შეფერხებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს პირად ურთიერთობებზე. ხშირია შემთხვევი როცა ბებია საპენსიო დანაზოგს თავის შვილიშვილს აძლევს , ან მამა სტიმულის სახით ხელს უწყობს შვილის მოტივაციის ზრდას და ა. შ

• კერძო ინვესტორები - აგრეთვე ცნობილია, როგორც "ბიზნესის ანგელოზები", ძირითადად, მდიდარი პირები არიან, რომლებიც დიდ თანხებს ხარჯავენ ბიზნესში კაპიტალის სანაცვლოდ და მოგების წილის სახით. ეს პირები არა მხოოდ ფინანსურ არამედ მორალურ დახმარებასაც უწევენ დამწყებ ბიზნესმენებს და მათ ეხმარებიან ჯერ საქმის შესწავლაში და შემდგომ თუ დაინახავენ რეალურ პოტენციალს მათ აფინანსებენ.

• ხალხის დაფინანსება - კაპიტალის შეგროვება ინდივიდთა დიდი ჯგუფის კოლექტიური ძალისხმევით, ძირითადად ონლაინ რეჟიმში, სოციალური მედიის საშუალებით ან ხალხის დაფინანსების პლატფორმების საშუალებით. ეს საშუალებას აძლევს ინვესტორებს უზრუნველყონ ბიზნესი ფინანსური სახსრებით, კაპიტალის სანაცვლოდ, ან მცირე შენატანები, პირველადი პროდუქტის ან სხვა ჯილდოს სანაცვლოდ.

• ხალხის მიერ დაფინანსებული კაპიტალის დაფინანსება - დამწყებთათვის და მცირე ბიზნესისათვის, საზოგადოების მხრიდან დაფინანსების მოსაზიდად. ისინი, როგორც წესი, ეყრდნობიან ინვესტორების დიდი რაოდენობით მცირე თანხების ზრდას. თითოეულ ინვესტორს შეუძლია წლიურად $ 10,000 ინვესტიცია განახორციელოს ბიზნესში, აქციების სანაცვლოდ.

• მთავრობა - მცირე ბიზნესისთვის სამთავრობო დახმარების უმეტესობა, უფასო ან დაბალი ღირებულების საკონსულტაციო მომსახურებების, ინფორმაციის ან სახელმძღვანელოს ფორმაშია. ამასთან, შეიძლება გქონდეთ გრანტი გრანტის მისაღებად გარკვეული გარემოებების დაკმაყოფილება მოგიწევთ, მაგალითად, ბიზნესის

გაფართოებაზე, კვლევასა და განვითარებაზე, ინოვაციაზე ან ექსპორტზე. სწორედ ამ ნაწილზეა დამოკიდებული ბევრი რამ და მათ შორის ზოგადად მეწარმეობრივი სურვილის გაჩენა ბიზნესმენებში.

მრავალჯერ გაიგონებდით ან წაიკითხავდით დაფინანსების კიდევ არაერთ ვარიანტს და სახეცვლილებას მათ შორის: მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე, ქალები ბიზნესში, აწარმოე საქართველოში და სხვა მრავალი პროექტები, რომლებიც ეხმარებიან მათ ვისაც ყველაზე მეტი პოტენციალი აქვთ ბაზარზე დამკვიდრებისათვის. მათ ვისაც აქვთ უნარი შექნან, აწარმოონ, განავითარონ, გაყიდონ.

ასევე არსებობს არაერთი ორგანიზაცია მათ შორის უცხოური, რომლებიც ეხმარებიან ეკონომიკურ სუბიექტებს სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის წამოწყებასა თუ განვითარებაში, უნდა ითქვას საკმაოდ წარმატებულადაც, ესენია : GIZ,UDAID, UNDP, ENPARD, USAID,მერსი ქორპსი,კარიტასი და სხვა. ეს კომპანიები აქტიურად ეხმარებიან ძირითადად იმ ქვეყნებს, რომლებსაც ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი ტენდენცია ახასიათებთ, უჭირთ დამოუკიდებლად აწარმოონ პროდუქცია, მათ ვინც შედარებით ჩამორჩება თანამედროვე გლობალურ სტანდარტებს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ეს ორგანიზაციები უკვე დიდი ხანია მუშაობენ საქართველოში.

ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ელოდება მხოლოდ უცხოელ ინვესტორებს პირიქით, მიმაჩნია რომ საქართველო საკმაოდ აქტიურად არის ჩაბმული სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლის სტიმულირებაში და ცდილობს ხელი შეუწყოს ადგილობრივ მეწარმეებს ბიზნესის განვითარებაში. ამას ადასტურებს არაერთი ფაქტი, რომლებსაც ჩვენ ნაშრომში პერიოდულად განვიხილავთ.

ბოლო დროს, აქტუალური გახდა ბიზნესის მხარდაჭერისათვის გამოცხადებული სხვადასხვა პროექტები, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში და მორგებულია რა თქმა უნდა პრიორიტეტული დარგების მიმართულებას. აღნიშნული პროექტები მოსახლეობაში აღვივებს ბიზნესის წამოწყების სურვილს რაც ნამდვილად დასაფასებელი და ხაზგასასმელია. ფასდება ბევრი მეწარმის შრომა და თავდადება საყვარელი საქმისადმი.

მოგეხსენებათ საქართველოს აქვს თვითკმარობის საკმაოდ მაღალი პოტენციალი და შესაბამისად საჭიროება მოითხოვს გვყავდეს ბევრი წარმატებული ბიზნეს სუბიექტი, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად აწარმოონ პროდუქტი და შესაბამისად თამამად გაუწიონ კონკურენცია იმპორტირებულ პროდუქციას. ჯანსაღი კონკურენციის პირობებში კი, შემდგომ თამამად შევძლებთ უკვე ვისაუბროთ ექსპორტზე. აქვე უნდა ვახსენოთ მიზეზი იმისა თუ რატომ იბლოკება ჩვენი საქონელი და მომსახურება საერთაშორისო ვაჭრობის შემთხვევაში. ძირითად შემთხვევაში სახელდება სტანდარტების დაუკმაყოფილებლობა, რაშიც მოიაზრება შეფუთვა, ხარისხი,შემცველობა, დამზადების ტექნოლოგია. ასევე რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არის საქონლის ნომენკლატურის დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს რომ ამ მიმართლებით საქონლის მრავალფეროვნება ნაკლოვანებით ხასიათდება. მაგალითად მაშინ როცა ერთ ფირმას შეუძლია ნაყინი მოგაწოდოთ უამრავი გემოთი , ფორმით, შემცველობით, შეფუთვით და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია საქართველომ ყურადღება გაამახვილოს ისეთ ორგანიზაციებზე (EWO, EPO) რომლებიც ეხმარებიან პოტენციურ ექსპორტიორებს:

1.მარკეტინგის დახვეწაში, შეფუთვაში;

2.დაფინასების მოპოვებაში;

3.სტანდარტების შესახებ ინფორმირებაში;

4.უწევენ იურიდიულ დახმარებას;

5.ეხმარებიან გამოფენებში, სავაჭრო მისიების შესრულებაში და ა.შ.

საქართველოში ექსპორტის შესახებ ინფორმირებულობას უზრუნველყობს სააგენტო ,,ივაჭრე საქართველოში“ (,,Trade with Georgia”). თუმცა პორტალი მუშაობს მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე ინფორმაციის მისაწოდებლად თუ რა შესაძლებლობები აქვს ქვეყანას, რომელი კომპანიები მუშაობენ აქტიურად და არ ამახვილებს ყურადღებას ადგილობრივ მეწარმეებზე, რომლებსაც ნამდვილად სჭირდებათ საექსპორტო ბაზრის შესახებ ცოდნის მიღება და დაკვალიანება.

თანამედროვე პროექტების დანიშნულება კი, ამავდროულად სწორედ ისაა, რომ მეწარმე სუბიექტი კარგად ფლობდეს ბიზნესის მართვის პრინციპებს,კარგად იცნობდეს

წარმოებას, ეფექტურად იყენებდეს მარკეტინგისა და მენეჯმენტის ელემენტებს, სწორად იგებდეს მის მნიშვნელობას და როლს. აღნიშნული პროგრამები მოგეხსენებათ ხორციელდება ეტაპებად და თითოეული ეტაპი ისახავს მიზანს დაანახოს სუბიექტს, რამდენად რეალური და მიღწევადია სურვილი იმისა რომ იყო მეწარმე, იქნებ მხოლოდ სურვილიც არ კმარა და კიდევ ბევრი რამ არის საჭირო, ეს ერთობლიობა საბოლოო ჯამში რეალურ შედეგზე გადის.

ინვესტირება შეიძლება თავისი მიზნით მორგებული იყოს ერთ რეგიონზე, მაგალითად: აჭარის რეგიონზე, გურია, ქართლი. შეიძლება ბიზნეს სუბიექტებზე იყოს მორგებული როგორებიცაა: არსამთავრობო ორგანიზაციები, კერძო, მცირე თუ სხვა, ორიენტირეად შეიძლება გვევლინებოდეს ასევე საქმიანობის სფერო მათ შორის: ტურიზმი, სამშენებლო ბიზნესები, საგანმანათლებლო მიმართულება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ამ ბოლო დროს მესაქონლეობა-ფერმერული მეწარმოება.

ამბობენ ,,მიზანი ამართლებს საშუალებას“ სწორედ ამიტომ დაფინანსების საშუალება და მეთოდი ყოველთვის ფულადი დახმარება როდია. მასში მოიაზრება მატერიალური დახმარება ტექნიკის სახით, საწვავის სახით და თუნდაც არამატერიალურად სხვადასხვა ტრენინგ კურსების დაფინანსებით, შუამდგომლობით, სხვადასხვა რეკომენდაციის გაწევით, იურიდიული კონსულტაციით, საგადასახადო დაბეგვრის არსის გაგებაში ეს ყველაფერი ი როდესაც ახალად შედიხარ ბაზარზე ძალზედ მნიშვნელოვანი და ბევრის მომცემი გახლავთ.

სწორედ ამიტომ ბიზნესის დაფინანსება თავისი არსით ძალიან რთულად განსახორციელებელი პროცესია თავისი სტრუქტურით, საჭიროებს კარგი ექსპერტების ჩართუობას, პრაქტიკულ გამოცდილებას თეორიულ ცოდნასთან ერთად. შედეგად კი ნამდვილად მიიღწევა ის მიზნები რასაც რეალურად უნდა ემსახურებოდეს ინვესტირებისათვის გამოყოფილი ფულადი ფონდები, რაც არც თუ ისე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს არა მხოლოდ აჭარის რეგიონში არამედ მთელს საქართველოში.

1.2. ბიზნესის დაფინანსების მიზნები და ფორმები

ისევე როგორც ჩვენს ნებისმიერ მოქმედებას აქვს მიზანი და შესაბამისად შედეგიც, ბიზნესის დაფინანსებასაც ახასიათებს ეს თავისებურებები. ვთქვათ გაქვთ იდეა და გსურთ გქონდეთ საკუთარი ბიზნესი , ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა გააზრებული სამოქმედო გეგმა, რომელშიც ერთ-ერთი ყურადსაღები ნაწილია შესაბამისი რესურსების მოძიება, საკანონმდებლო ბაზის ფლობა, მენეჯმეტის , მარკეტინგის, ფინანსური განათლების საბაზისო დონეზე მაინც ფლობა. თუმცა ყოველი ეს შედარებით ადვილად მისაღწევის უკვე სახლიდან გაუსვლელადაც რასაც ვერ ვიტყვით ფინანსებზე. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს როგორც სახელმწიფოს, ასევე უცხოურ ორგანიზაციებისგან შელშემწყობი პროგრამები, თუმცა ეს პროგრამები განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც იდეით, ასევე ამ იდეის განხორციელების გზით, დროით და უპრიანია რომ ყოველთვის არ ემთხვევა მოთხოვნა მიწოდებას.

თითოეული დონორისათვის მიზანი არაერთგვაროვნებით ხასიათება ასევე ფორმა დაფინანსებისათვისაც, რაც უმრავლეს შემთხვევაში მიზანზეა მორგებული. თუკი სახელმწიფო მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ადგილობრივ წარმოებას შესაბამის რეგიონზე მორგებულ პროგრამაზე იღებს გეზსს და ცდილობს სტიმული მისცეს ადგილობრივ მეწარმეს იმ მიმართულებით, რაც წლიურ მაჩვენებელს გააუმჯობებს . აღნიშნული პრიორიტეტები კი რა თქმა უნდა BDD დოკუმენტში ნათლად არის აღწერილი.

ჩვენი თემა კი სწორედ ამ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას, ეს კი იმიტომ რომ ადგილობრივი წარმატება მთლიანობაში გადის სრულ წარმატებამდე და საბოლოო ჯამში ერთ მთლიან სივრცემდე მთლიანობამდე აღწევს.

ბიზნესის მეპატრონეებმა განსაზღვრეს სხვადასხვა ტიპის მიზნები, მათ შორის ფინანსური მიზნები, რათა მათ ჰქონდეთ გრძელვადიანი წარმატების მიღწევის საშუალება. საერთო ფინანსური ბიზნესის მიზნები კი მოიცავს: შემოსავლის ზრდას, მოგების ზღვრების გაზრდას, გაჭირვების დროს მოსალოდნელი რისკების დაძლევას და ინვესტიციის ანაზღაურებას.

1. შემოსავლის ზრდის მიზნები;

შემოსავლის ზრდა არის ნებისმიერი ბიზნესის ყველაზე ძირითადი და ფუნდამენტური ფინანსური მიზანი. შემოსავლების ზრდა ხდება სავაჭრო და მარკეტინგული საქმიანობების აქცენტიდან და მხოლოდ ზემოთაღნიშნული მოგების ზრდასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდით მოდის. კომპანიები ხშირად ადგენენ შემოსავლების მიზანს პროცენტული ზრდის თვალსაზრისით. მეწარმეს შეუძლია შექმნას ორიენტირი მაგალითად შემოსავალის ზრდა 20 პროცენტით ყოველწლიურად, ახალი კომპანიის ოპერაციების პირველი ხუთი წლის განმავლობაში.

2.მოგების მარჟები და ქვედა მოგება;

მოგების მიზნები ცოტა უფრო დახვეწილია, ვიდრე შემოსავლის ზრდის მიზნები. ნებისმიერი თანხა, რომელიც დარჩა გაყიდვების შემოსავლიდან, ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ ითვლება მოგებად. მოგება, ან ქვედა რანგის მოგება შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი გზით, მათ შორის ბიზნესში ჩადების ინვესტიციის ჩადებისთვის, გაფართოების მიზნით და თანამშრომლების შორის მასზე განაწილებისთვის, მოგების განაწილების წესით.

მოგების მიზნები ჯერ შემოსავალს ეხება, შემდეგ კი ხარჯებს. დაბალი ხარჯების შენარჩუნება საიმედო მომწოდებლებთან ურთიერთობების პოვნაში და ურთიერთობების დამყარებით, ოპერაციების დაპროექტებით, მხედველობითი ეფექტის მისაღწევად და მასშტაბის ეკონომიკით სარგებლობისთვის, რამდენიმე მეთოდის გამოყენების მიზნით, შეგიძლიათ დატოვოთ მეტი თანხა თქვენი ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ.

3.ფინანსური მდგრადობა არეულობების დროს;

გარკვეულ დროს, კომპანიები ან ბრენდები შეიძლება პირველ რიგში ძირითადი ეკონომიკური გადარჩენით იყვნენ დაკავშირებული. გადახრა არის მარკეტინგის ტექნიკა, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური მიზნით, რის მიხედვითაც ცდილობს შეინარჩუნოს ბრენდი და შეინარჩუნოს მიმდინარე შემოსავლები და მოგების დონე, პროდუქტის / ბრენდის სასიცოცხლო ციკლის "დაცემის" ეტაპზე.

კომპანიები შეიძლება შეშფოთებული იყვნენ ფინანსური მდგრადობით ეკონომიკური არეულობის პერიოდებშიც. გადარჩენის ზოგადი ფინანსური მიზნები მოიცავს დროულად და სრულად აღებული ყველა დავალიანების შეგროვებას, დავალიანების გადახდას დავალიანების დაფარვით და შემოსავლის დონის თანმიმდევრულად შენარჩუნებით.

4. ინვესტიციის სანაზღაურება;

ინვესტიციაზე დაბრუნება არის კაპიტალური ხარჯების მიმართ გამოყენებული ფინანსური თანაფარდობა. ROI შეიძლება გამოყენებულ იქნას ორ ძირითად სცენარზე. პირველი, ROI შემცირებულია უძრავი ქონების და პროდუქტიული აღჭურვილობის ინვესტიციებით გამოწვეული დაბრუნებით. ბიზნესის მფლობელებს სურთ დარწმუნდნენ, რომ შენობა-ნაგებობები, ტექნიკა და სხვა აღჭურვილობა, რომლებიც მათ ყიდულობენ, ქმნის საკმარის შემოსავალს და მოგებას, რომ გაამართლონ შეძენის ღირებულება.

მეორეც, ROI ვრცელდება ინვესტიციებში აქციებში, ობლიგაციებში და სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტებში. იგივე პრინციპი ეხება ამ ინვესტიციებს, მაგრამ ზოგადად არ არსებობს ფიზიკური, პროდუქტიული აქტივი, რომელიც გამოყენებულია ზუსტი ანაზღაურებისათვის. ამის ნაცვლად, ინვესტიციის პროდუქციისთვის ROI იანგარიშება ინვესტიციების შედეგად განხორციელებული დივიდენდების, პროცენტისა და კაპიტალის მოგების შედარებისა და ალტერნატიული ინვესტიციების გადაცემის შესაძლებლობის ღირებულებით.

სახელმწიფოში წარმატებული მეწარმეთა სიმრავლე მიდის კარგ მსუყე ბიუჯეტამდე და საერთო ჯამში დამოუკიდებელ და ფინანსურად მყარ სახელმწიფომდე. ასე რომ აღნიშნული მიზნები და მაჩვენებლები, რომლებიც ერთის მხრივ რთულად აღსაქმელია დამწყები ბიზნესისათვის, ვინაიდან გვეშინია ხოლმე გადასახადების ჯარიმების როგორც ახალბედები თამამ ნაბიჯებს ვერ ვდგამთ და ხშირად არამყარ ნიადაგსაც კი ვირჩევთ, არ და ყველა ერთად უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ სტაბილური ეკონომიკური ზრდისთვის. ყოველი მეწარმე უნდა იაზრებდეს რამდენად მნიშვნელოვანია ინვესტირებული თანხის გამოყენება

ადეკვატურად, კარგი რენტაბელობელობის მაჩვენებლის მისაღწევად და არც იმდენად დიდ რისკზე არ უნდა მიდიოდეს რომ საბოლოო ჯამში ვერ შეძლოს ამ რისკის მართვა.

ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ბიზნეს სუბიექტების სტიმულირება და მათი შემოსავლების ზრდა. შემოსავლების გაზრდა გამოიწვევს უპირველესად ქვეყანაში წარმოების გაფართოებას და იმპორტირებული საქონლის ადგილობრივით ჩავანცლებას, ბიუჯეტში შესატანი საგადასახადო თანხის გაზრდას, მოსახლეობის სოციალური ფონის გაუმჯობესებას და სხვა

1,3. ბიზნესის როლი, ადგილი და გავლენა ეკონომიკაზე

ბიზნესის როლი უპირველეს ყოვლისა არის იმ საქონლისა და მომსახურების შექმნა რითიც ივსება ზოგადად საზოგადოების საჭიროებები და მოთხოვნები. გარდა ამისა მას ბევრად მეტი და მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია კაცობრიობის ისტორიაში ვინაიდან სწორედ ამბიციური, მიზანდასახული და ინოვაციურად მოაზროვნე ადამიანების დამსახურებაა , რომლებმაც შექმნეს მსოფლიოში წარმატებული ბიზნეს ობიექტები და მუდამ ზრუნავ ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, დახვეწაზე, თუნდაც გამარტივებაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ არა თანამედროვე ტექნოლოგიები ცხოვრების ტემპი ასე არ დაჩქარდებოდა.

ბიზნესი ქმნის:

1. სამუშაო ადგილებს;

2. ქმნის დახვეწილ და თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებულ ნაწარმს;

3. ეკონომიკაში შეაქვს ფულის მნიშვნელოვანი მასა;

4. აუმჯობესებს მეწარმეთა სოციალურ მდგომარეობას და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დასაქმებულთა უმრავლესი ნაწილი ირჩევს და უპირატესობას ანიჭებს კერძო სექტორს და ეძებს სამსახურს ამ სფეროში ვინაიდან ამ

მიმართულებით სამუშაოს პოვნა უფრო ადვილია და ხშირ შემთხვევაში ანაზღაურებაც ჯერ კიდევ უკეთესია. გარდა ამისა საჯარო სამსახურს, განსხვავებით კერძო სამსახურისა, აქვს ბევრი ნაკლოვანებები მათ შორის საბონუსე სისტემის არარსებობა რაც მოქმედებს თქვენი როგორც დასაქმებულის მონდომებაზე, ასევე რთულად მოქმედებს დაწინაურების სისტემაც და კადრების განახლება ნელი ტემპით მიმდინარეობს. საილუსტრაციოდ მოდით ვიხილოთ სტატისტიკა სადაც ნათლად ჩანს დასაქმების წილი საკუთრების ფორმების მიხედვით სადაც აშკარად უპირატესობით სარგებლობს არასახელმწიფო საკუთრების ფორმა:

ცხრილი №1.

დასაქმებულთა განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2007-2019*

ათასი კაცი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ	**1,577.3**	**1,597.3**	**1,611.0**	**1,627.8**	**1,643.5**	**1,659.4**	**1,643.4**	**1,694.4**	**1,733.8**	**1,717.3**	**1,706.6**	**1,694.2**	**1,690.2**
სახელმწიფო	321.3	295.4	310.5	302.4	280.6	287.0	252.1	258.8	286.6	271.9	283.8	299.8	299.7
არასახელმწიფო	1,256.1	1,301.8	1,300.5	1,325.5	1,362.9	1,372.4	1,391.3	1,435.6	1,447.2	1,445.4	1,422.8	1,394.4	1,390.5

*2007-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

წყარო: 2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წლიდან - სამუშაო ძალის გამოკვლევა.

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

ჩვენს ასევე ვთქვით რომ ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი შემოსავლების ნაწილში წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლებს და ვინ იხდის გადასახადებს თუ არა ეკონომიკურად აქტიური სუბიექტები. მსუყე და სავსე ბიუჯეტი კი რაღა თქმა უნდა დადებითად აისახება საზოგადოების კეთილდღეებაზე. ვიხდით საპენსიო გადასახადებს, ვეხმარებით მათ ვისაც ჩვენი თანადგომა სჭირდება, ვინახავთ ეროვნულ ჯარს, გვაქვს ელექტროენერგია, განათება, გზა , უფასო განათლება,წყალმომარაგება, სანდასუფთავება და სხვა.

თუმცა როდესაც ვსაუბრობთ გადასახადებზე რომლებსაც იხდიან ეკონომიკური სუბიექტები მნიშვნელოვანი გადასახადის სწორად დაგეგმვა რათა სურვილი არ ჩავუკლად სუბიექტს გააგრძელოს საქმიანობა.

იმისათვის რომ დავრწმუნდეთ ზემოთხსენებული საკითხების სიცხადეში მოდით ვიხილოთ სტატისტიკა საბიუჯეტო ჩარჩოდან სადაც ჩანს შემოსავლების ნაწილში რა როლი აკისრია საგადასახადო შემოსავლებს.

ცხრილი №2.

cxrili 2. saqartvelos naerTi biujetebis wliuri monacemebi				
(mln. lari)				
	kodi	2017	2018	2019
Semosavlebi	**1**	**10921.1**	**11822.1**	**12907.2**
gadasaxadebi	**11**	**9778.9**	**10506.3**	**11417.8**
gadasaxdebi Semosavalze, mogebaze da kapitalis Rirebulebis nazrdze	111	3675.5	3983.7	4349.0
gadasaxadebi xelfasze da samuSao Zalaze	112	0.0	0.0	0.0
gadasaxadebi qonebaze	113	394.7	441.2	474.3
gadasaxadebi saqonelsa da momsaxurebaze	114	5573.5	5892.6	6745.7
gadasaxadebi sagareo vaWrobasa da sagareo-ekonomikur operaciebze	115	71.6	73.4	79.1
sxva gadasaxadebi	116	63.6	115.4	-230.3

წყარო: https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti

ზემოთ მოცემულ ცხრილში ძირითადი შემოსავლების წილი უკავია გადასახადებს საქონელსა და მომსახურებაზე და შემდგომ გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე. ორივე გადასახადის ძირითადი გადამხდელები ეკონომიკურად აქტიური სუბიექტები გახლავთ სწორედ ამიტომ უპრიანია ბიუჯეტის შევსების მიზნით ყურადღება მიექცეს ბიზნეს სუბიეტების მხარდაჭერას, მათ სტიმულირებას და გაჯანსაღებას. ისევე როგორც ნიადაგს ესაჭიროება გამოკვება, მოვლა და გაჯანსაღება, მანამ სანამ ნაყოფს მოგვცემს, ასევეა ბიზნესიც, თუკი გვსურს ბიუჯეტის ნაწილში გავზარდოთ საგადასახადო შემოსავლები ამ შემოსავლის ნაწილი ეტაპობრივად უნდა დაიხარჯოს კიდევაც მასზე.

თავი II. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ეტაპები და სტატისტიკა

2.1 ადგილობრივი ბიზნესის დახვეწისა და განვითარების ხელშეწყობის საზღვარგარეთული გამოცდილება

საზღვარგარეთული ქვეყნებისათვის არის საინტერესო გამოცდილება ბიზნესის წამოწყებაზე და სტიმულირებაზე, რომელთა ნაირსახეობა და სიმრავლე ძალზედ საინტერესოა. ამიტომ მოდით განვიხილოთ ეს შემთხვევები და იქნებ შევძლოთ კიდეც საქართველოში დავამკვიდროთ მათი მსგავსი მოდელები.

არაერთ ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს ბიზნეს ინკუბატორები, ბიზნეს ანგელოზები და "Silicon Wadi" -ის მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც ადრეული დაარსებიდან უდგებიან მხარში მეწარმეებს, თუნდაც სესხის ასაღებადაც კი, 1 შეძლონ ახლად ფეხადგმულმა ფირმებმა დაიმკვიდრონ ადგილი ბაზარზე, მიუხედავად იმისა საქმიანობა რამდენად სარისკოც არ უნდა იყოს.

ავიღოთ ისრაელი-ისრაელში დღითიდღე იზრდება და ვითარდება სტარტაპებისა და ბიზნესის ინკუბაციის კულტურა. "Silicon Wadi" – სილიკონის ველების ებრაული ვერსია, კიდევ უფრო იზრდება და უფრო და უფრო მეტ სტარტაპს უდებს სათავეს. უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელში შექმნილია სარისკო კაპიტალის საკმაოდ ბევრი ფონდი. სწორედ ერთ–ერთ ასეთ ფონდზე შევაჩერებთ ჩვენს აქცენტს და გაგაცნობთ YOZMA–ს – ებრაული სარისკო კაპიტალის მართვის ჯგუფის საქმიანობას.

„Yozma–მ მსოფლიო აღიარება მოიპოვა, როგორც ისრაელის ვენჩორული სამრეწველო ინდუსტრიის ფუძემდებელმა. Yozma ახორციელებს კაპიტალდაბანდებას ტექნოლოგიური მიმართულების იმ სფეროებში, რომლებშიც ისრაელი მსოფლიო ლიდერობით გამოირჩევა. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს სწრაფად მზარდი კომპანიები ისეთი სექტორებიდან როგორებიცაა: კომუნიკაციების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ცოცხალი ორგანზიმების შემსწავლელი მეცნიერებიები. Yozma–მ 1993 წლიდან შექმნა თავისი პირველი ფონდი Yozma I, რომლის ფარგლებშიც ჯგუფმა სამი წლის განმავლობაში განახორციელა 10 ინვესტიცია, რომელთაგან თითეულის ღირებულება 20

მლნ. დოლარს აღემატება. ამერიკელი, ევროპელი და ებრაელი ინვესტორების მხარდაჭერით, 1998 წლის სექტემბერში შეიქმნა ჯგუფის მეორე ფონდი Yozma II. ჯგუფის შექმნიდან დღემდე, თავისი ორი ფონდის ფარგლებში, Yozma–მ სულ 170 მლნ.–მდე ინვესტიცია განახორციელა, ეს თანხა 40–ზე მეტ კომპანიაში განთავსდა. ჯგუფი საკუთარ პორტფელურ კომპანიებს აქტიურად დაეხმარა კომპანიის შეერთებული შტატებისა და ევროპულ საფონდო ბირჟებზე განთავსებაში. გარდა ამისა, Yozma ჯგუფის მიერ დაფინანსებული კომპანიები ამავე ჯგუფის დახმარებით შეძენილი იქნა ისეთი წამყვანი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა: Agilent, America On Line, Cisco, Computer Associates, ECI Telecom, Enron, General Instruments, Johnson & Johnson, Medtronic, Microsoft, Sequoia Capital და Terayon.“ [1]

კიდევ ერთი საინტერესო პროგრამა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო არის, GameFounders სტარტაპების ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც წელიწადში 3-ჯერ იღებს ახალ ნაკადს. პროგრამის ფარგლებში შერჩეული სტარტაპები გადიან 3-თვიან ინტენსიურ კურსს, რომლის ფარგლებშიც იღებენ 5,000-15,000 ევროს ოდენობის დაფინანსებას, ხვდებიან ამ ბიზნესის 80-ზე მეტ გურუს და იღებენ რჩევა-დარიგებებს მსოფლიოს წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მენტორთა ჯგუფისაგან. გარდა კონსულტაციებისა და დაფინანსებისა, პროგრამაში შედის გუნდების რეკლამირება, პროფესიონალური ფოტოსესია, ვიდეო სესია და პორტფოლიოს შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან. პროგრამის მიზანია სახელმწიფოში მიიზიდოს უცხო ქვეყნის ტალანტები და ფინანსები რის საშუალებითაც ცდილობს, დახვეწოს და გამოძერწოს მათგან კარგი მეწარმეები. ამ პროგრამაში ასევე მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ქართველებსაც და პირველი ქართული კომპანია რომელმაც მიიღო მონაწილეობა ესაა Storm Bringer Studios (კომპიუტერული კომპანია), რომელსაც საკმაოდ დიდი დახმარება გაუწია აღნიშნულმა პროექტმა. კომპანია ჯერ კიდევ საინტერესოდ იხსენებს იმ დროს, როცა მონაწილეობდა ამ პროგრამასი და აღიარებს იმ წვლილს რაც მიუძღვით მათ.

[1] შენიშვნა: ებრაული სარისკო კაპიტალის მართვის ჯგუფი

ავსტრალიის კერძო კაპიტალისა და საწარმოთა კაპიტალის ასოციაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საწარმოებს ეხმარება იპოვონ კაპიტალის დამაფინანსებელი ინვესტორები. ავსტრალიის მთავრობა გთავაზობთ უფასო ონლაინ ინსტრუმენტს, რომ იპოვოთ გრანტები და დახმარება დღეს კი მოგეხსენებათ ონლაინ პრაქტიკა და მიმართულება პრიორიტეტულია მითუმეთეს იმ გამოცდილებისა, რაც 2020 წლის განმავლობაში მიიღო მსოფლიომ.

ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა მიმართულია საერთო მიზნის შესრულებისაკენ და ეს მიზანი ძლიერი რეგიონის და საერთო ჯამში ძლიერი ქვეყნის შექმნაა. ამან კი უპრიანი ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობის კულტურის განვითარებას და ადგილობრივი სამეწარმეო პროდუქციის შექმნას და დახვეწას.

იყო დრო როცა ელემენტარული პირველადი მოხმარების ნივთების გამოც კი სოფლის მაცხოვრებელი იძულებელი იყო არა დაბაში, არამედ უახლოეს ქალაქამდე და თუ ე.წ ,,კომუნისტურ“ დროს გავიხსენებთ რუსეთამდე ჩასულიყო (რამაც ჩაკლა დამოუკიდებლად წარმოების უნარები) და საბედნიეროდ ნელ ნელა იცვლება ეს ტენდენცია და მივედით იმ დონემდე, რომ საკმაოდ ბევრი მომსახურების თუ მოხმარების საგნების შეძენა გახდა შესაძლებელი თუნდაც მუნიციპალიტეტებში, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვადასხვა საჯარო მომსახურებების მიღებაზე. სწორედ ამიტომ ზემოთ განხილული მაგალიებიდან საქართველოსაც აქვს შანსი დანერგოს მსგავსი გამოცდილება და ადგილობრივ დონეზე დაეხმაროს ჩვენს ბიზნეს ინოვატორებს განახორციელონ თავიანთი დიადი მიზნები.

თანადაფინანსების პროგრამები ხშირად იმდენ პრიორიტეტებს სახავენ და ართულებენ დაფინანსების მიღების პროცედურებს , რომ მომავალ ბიზნესმენს სტიმული უქრება დაიწყოს ბიზნესი. ადამიანი რომელსაც არ აქვს გამოცდილება ბიზნესში, არ იცის მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები და აქვს ნიჭი და მონდომება ესაჭიროება იმედი და სტიმული, რასაც უნდა ემსახურებოდეს აღნიშნული პროექტები.
გარდა ამისა უცხოური პროგრამები რომლებიც ახორციელებენ პროექტებს საქართველოში ენის ბარიერის გამო ქირაობენ ქართველ სპეციალისტებს, რომლებიც ამავდროულად თავიანთი ინტერპრეტაციით თარგმნიან ამ მოთხოვნილ კრიერიუმებს

და ორმაგად რთულია გლეხისათვის აღიქვას ეს ყველაფერი სწორად, აუბას მას მხარი და კიდევ შეინარჩუნოს მეწარმეობის სურვილი.

მიგვაჩნია რომ საჭიროა სწორად დალაგდეს მსგავსი პროგრამების სამოქმედო გეგმა. დაიხვეწოს ინფორმაციული მხარე და ბენეფიციარები ნაწილობრივ მაინც უნდა შემზადდნენ ასეთი პროგრამებისათვის. თუკი პროექტის დამფინანსებელს სურს სწორი არჩევანის გაკეთება მაშინ მისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ეს ნაწილი. არის კიდევაც მსგავსი საზღვარგარეთული პრაქტიკა და უდაოდ მნიშვნელოვანია ჩვენთანაც დაინერგოს ეს. ჯერ მომზადდეს ბენეფიციართა გარკვეული ბაზა, დატრენნგდნენ ისინი და შემდგომ უკვე საუკეთესონი დაფინანსდნენ. ეს შესძენს სტარტაპერს მცირედ გამოცდილებას და სტიმულს გაუმკლავდეს ბიზნესის ციკლს.

თუკი აჭარის მუნიციპალიტეტებში შემოდგომაზე ყოფილხართ, გეცოდინებათ, რომ ამ პერიოდში მათ ვისაც აქვს სოფლის მეურნეობა ექმნება პრობლემები გასაღების ბაზარზე. მას არ აქვს შესაძლებლობა პროდუქცია რომელიც ძირითადი შემოსავლის წყაროა შეინახოს ან უპრობლემოდ გაიტანოს ბაზარზე, რის გამოც უწევს ხშირად გადაყაროს ის ნაწილი რომელსაც ვერ უწევს რეალიზებას. სწორედ ამ მიმართულებით ესაჭიროება მეწარმეებს გასაღების ბაზარზე წვდომა მათ უნდა ჰქონდეთ გარანტია, რომ შეძლებენ რეალიზება გაუწიონ პროდუქციას ან შეინახავენ მაინც სამაცივრე პირობებში. მიმაჩნია რომ სახელმწიფომ საჭიროა ამ მიმართულებით დახვეწოს თავისი მიდგომა და შეიტანოს თავის პრიორიტეტებში ადგილობრივი მეწარმეებისათვის ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა.

სხვადასხვა ქვეყნებს მცირე და საშუალო მეწარმეებზე სპეციფიკური მიდგომა ახასიათებთ, რაც ეხმარებათ მათ კონკრეტული პრიორიტეტების არჩევასა და განსაზღვრაში.

აშშ კანონმდებლობის დონეზე მცირე და საშუალო მეწარმეებს განარჩევს დასაქმების შესაბამისად.

1.მიკრო საწარმოები- საწარმოები რომლებსაც არაუმეტეს 20 თანამშრომლი ჰყავთ.

2.მცირე საწარმოები- რომლებსაც 20-დან 100 კაცამდე ჰყავთ დასაქმებული

3.საშუალო საწარმოები-100-დან 499 კაცამდე დასაქმებული ჰყავთ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ცალკეა ის სუბიექტები, რომლებსაც არ ესაჭიროებათ დასაქმებული მუშახელი და ასევე ისინი რომლებიც დროებით მუშახელს ამჯობინებენ თავიანთ ბიზნესებში.

ყოველწლიურად იზრდება მცირე საწარმოთა რაოდენობა აშშ-ში და ამის ხელშემწყობი არაერთი სტიმული მოქმედებს როგორიცაა თუნდაც საგადასახადო შეღავათი, რომელიც ახლადდამწყებ მეწარმეებს უნახევრებს პირველი წლის საგადასახადო წნეხს. შემოსავლების მხოლოდ ნახევარზე ახდევინებს გადასახადებს.

ასევე აქტიურად მოქმედებს მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სამთავრობო შეთავაზება ეროვნული უმცირესობებისათვის რაც მიმართულია თანასწორუფლებიანობისაკენ. ამისათვის აქვთ კიდეც კანონი ,,თანაბარი შესაძლებლობების შესახებ“ და ,,საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ეკონომიკური განვითარების შესახებ“.

ესპანეთში შემუშავებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობი მრავალი პროგრამა. მათთვის ვინც ახლად იწყებს ბიზნესს შეთავაზებულია სხვადასხვა დამხმარე პროგრამები. გარდა ამისა მეწარმე ირველი ხუთი წლის განმავლობაში განთავისუფლებულია გადასახადებისაგან, აქვს უფლება იარგებლობს უვადო კრედიტით.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს ბიუროკრატიის დაბალი დონე ესპანეთში. ლიცენზიისა და ბიზნესის სტატუსის მინიჭება ხდება განცხადების შეტანიდან 24 საათში ეს კი მოქმედებს უცხო ქვეყნის მოქალაქეზეც.

რაც შეეხება საფრანგეთს , აქ მცირედ ითვლება საწარმო სადაც 50 კაცამდე დასაქმებულია. შექმნილი სამუშაო ადგილების 40-50 % მოდის სწორედ მცირე მეწარმეებზე. შეღავათები არც საფრანგეთშია ნაკლები , ახალი მცირე საწარმოები ორი წელი თავისუფლდებიან სააქციო საზოგადოებების და ადგილობრივი გადასახადებისაგან. ასევე შემცირებულია საშემოსავლო და მოგების ინვესტირებადი თანხაც. სახელმწიფო რბილ მიდგომას იყენებს იმ მეწარმეებზე რომლებიც ბიზნესს იწყებენ დეპრესიულ რეგიონებში. ეს მეწარმეები სარგებლობენ შეღავათებით ან

საერთოდ თავისუფლდებიან ისეთი გადასახადებისაგან რაც ეხება: ჯანდაცვას, საპენსიო ფონდებს, უმუშევრებისათვის განკუთვნილ გადასახადებს, ფონდებს მრავალშვილიანებზე და სხვა. ხოლო იმ უმუსევრებისათვის , რომლებმაც გადაწყვიტეს საკუთარი ბიზნესის დაწყება წესდება სპეციალური 3 წლით საგადასახადო წნეხისაგან განთავისუფლება და ერთი წლით სოცდაზღვევის ფონდის გადასახადებისაგან. თითქმის ყველა მცირე მეწარმეს შეუძლია ისარგებოს შეღავათიანი კრედიტით და ასევე სუბსიდიებით.

საწარმოთა დაფუძნებისას სხვადასხვა სამინისტროები ეხმარებიან მათ დამკვიდრებაში . ტერიტორიული, სავაჭრო, საჯარო და სხვა მიმრთულებებით და არ ევლინებიან ისინი ჩასაფრებული პოზიციიდან მეწარმეს.

დიდ ბრიიტანეთს განსხვავებული მიდგომა აქვს მეწარმეებზე . სახელმწიფო მცირე მეწარმედ თვლის საწარმოს, სადაც მომუშავეთა რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს. ხოლო საწარმოს ბრუნვა 2,8 გირვანქა სტერლინგს ან ბალანსი 1,4 მილიონ გირვანქა სტერლინგს. საწარმოთა 99% მცირე და საშუალო საწარმოებია. სახელმწიფოს აქვს სპეციალური ფონდი რაც მიმართულია მიზნობრივ დახმარებებზე როგორიცაა: ფინანსური მხარდაჭერა, საგადასახადო ტვირთისა და ადმინისტრაციული შეზღუდვების შემცირება, იურიდიული და კონსალტინგური მომსახურება.

სახელმწიფო ახორციელებს ხელშემწყობი პროგრამების შემდეგ ჯგუფებს:

- ახალი და მოქმედი ფირმების კონსულტაცია;
- ფინანსური დახმარების პროგრამები;
- მცირე ფირმების საექსპერტო საქმიანობის ხელსეწყობა;
- უელსში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და შოტლანდიაში მოქმედებს დახმარების რეგიონალური პროგრამები;

ბრიტანეთში მოქმედებს სპეციალური პროგრამა რაც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ დახმარების პროგრამებს გარემოს დაცვის,სამეცნიერო კვლევების უახლეს დარგებში და სხვა. მაგალითად: მცირე საწარმოებს შორის ტარდება ყოვეწლწლიური კონკურსი საუკეთესო კომერციული სტრატეგიისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის რეალიზაციის საკითხებში (გოგიაშვილი, 2013:56)

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს სახელმწიფო გარანტირებული სესხები მცირე საწარმოებისათვის. მცირე ბიზნესის სამსახური, კომერციულ ბანკს აძლევს კრედიტების ღირებულების 75% ღირებულების დაბრუნების გარანტიას მცირე ბიზნესის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. სესხის პირობებს ადგენს ჩვეულებრივ ბანკი ხოლო სახელმწიფო ორგანოები ღებულობენ გადაწყვეტილებას მისი გარანტირებულად შესრულების თაობაზე. გარანტიაზე უარის თქმის მხოლოდ კრედიტზე არამიზნობრივი გამოყენება წარმოადგენს.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესებზე გადაწყვეტილებების მიღება ფედერაციის, მიწების, თვითმმართველობის, თემების დონეზე მიიღება. ასევე პროცესში ჩართულია ევროკომისისაც.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა მოიცავს 500-ზე მეტ ფედერაციულ და რეგიონული მნიშვნელობის მქონე პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინვესტიურ აქტივობებს. მხარდაჭერა გულისხმობს ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებას. ამავდროულად ბიუჯეტიდან სხვადასხვა ეკონომიკურ და ტექნიკურ მხარდაჭერას, მეწარმეების დატრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების დაფინანსების უზრუნველყოფას.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პირდაპირი მხარდაჭერის შემდეგი სახეები მოქმედებს:

- სახელმწიფო სუბსიდიების და საინვესტიციო დანამატების, რომლებიც იშვიათად გაიცემა უკან დაბრუნების პირობით. დანამატები არ იბეგრება და გამოიყენება მოთხოვნების შესაბამისად ხოლო სუბსიდიები იბეგრება მათი გამანაწილებელი ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად.

- შეღავათიანი კრედიტების გაცემა, რომელიც გამოიყენება ფედერალურ და რეგიონალურ დონეზე. მცირე და საშუალო ბიზნესებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემა ხდება საერთო წესების შესაბამისად და ყურადღება ექცევა მხოლოდ კრედიტუნარიანობას. შეღავათიანი კრედიტი გულისხმობს:

  - დაბალ საპროცენტო განაკვეთს კრედიტის გაცემის მთელ პერიოდზე;
  - კრედიტის გაცემის ხანგრძლივ ვადას;

➢ წილობრივი დაფინანსება (სპეციალიზებული ბანკების დაფინანსება გამოიყენება საინვესტიციო პროექტის ნაწილზე. პროექტის დანარჩენი ნაწილი უნდა დაფინანსდეს ინვესტორის მიერ ან სხვა სახის სესხებით) (გოგიაშვილი ო. 2013:56)

თითოეული ქვეყნის მაგალითი საკმაოდ საინტერესო დამაფიქრებელი და ყურადსაღებია. ვინაიდან ნათელია ეს პროგრამები ქვეყნის ეკონომიკური დონის პირდაპირპროპორციულია, ამიტომაც მნიშვნელოვანია ჩვენც ავითვისოთ და ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული მაგალითებით და შევძლოთ გადმოვიღოთ ისინი ქართულ რეალობაში. ეს კი დაგვეხმარება უფრო ეფექტურად შევუწყოთ ხელი მეწარმეობის კულტურის დამკვიდრებას ქვეყანაში და მათ შორის რეგიონში.

2.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი საქართველოში

ბოლო პერიოდებში ადგილობრივი ბიზნესი დიდი საფრთხის წინაშე დადგა, განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის პირობებში, რომელმაც გადაატრიალა სრულიად მსოფლიოს მშვიდი ვითარება, ამიტომ საჭირო გახდა ბიზნესის გაჯანსაღების გეგმის შექმნა, რომელიც დაიცავდა ბიზნესებს დახურვისაგან. საბედნიეროდ არის საქართველოშიც არაერთი ორგანიზაცია რომელიც ეხმარება მეწარმე სუბიექტებს.

,,საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი, რომელიც 2011 წელს დაარსდა და კერძო სექტორთან ერთად ინვესტიციებს დებს კომერციულად სიცოცხლისუნარიან პროექტებში. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს პროექტებს საქართველოში 5 საკვანძო სექტორში: აგრობიზნესის, ენერგეტიკის, წარმოების, ლოჯისტიკის, უძრავი ქონების და ტურიზმის სფეროებში. მისი მისიაა:

- დაეხმაროს ინვესტორებს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდებით;
- გაუზიაროს პროექტთან დაკავშირებული რისკები ინვესტორებს;
- შეისწავლოს და ხელი შეუწყოს ახალი ინვესტიციების შესაძლებლობებს;

PF– ს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება ოთხი სამინისტროსგან (ეკონომიკა და მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა, ფინანსები და სამართლიანობა), ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები და მას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ მინისტრი. PF– ის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ფონდის მანდატი და მიზნები განსაზღვრავს საქართველოს მთავრობას.

2019 წლის მაისის მდგომარეობით, PF– ს პროექტები ჯამში $ 2,5 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო ფონდის პორტფელი $ 350 მილიონი აშშ დოლარია. აღნიშნული პროექტი ასევე მიმართულია ადგილობრივი ბიზნესების ხელშეწყობაზეც.

სტრატეგიული მიზნები:

1. პროექტის შემუშავების შესაძლებლობების დადგენა;

2. მაღალი ხარისხის პროექტების უზრუნველყოფა;

3. ინვესტორებისა და სახსრების მოზიდვა;

4. პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

კომპანიას შეუძლია შემდეგი სერვისების მიწოდება:

• მშენებლობისთვის საჭირო ყველა დოკუმენტის მომზადება, მშენებლობის უფლების მოპოვებისა და ლიცენზიების ჩათვლით;

• საპროექტო ორგანიზაციის მოძიება და დასრულებული სამშენებლო პროექტის შეძენა;

• წინასწარი პროექტის სქემატური დამუშავება ან წინასწარი მიზანშეწონილობის შესწავლის ანგარიშის მომზადება;

• მშენებლობის პროცესის მონიტორინგი.

GEDF (ს.ს. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი დაარსდა 2010 წლის 13 დეკემბერს მისი აქციების 100%-ის მფობელია სახელმწიფო. საზოგადოება დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 08 დეკემბრის #1564 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 10.12.2 (https://gedf.com.ge))- ს შეუძლია პარტნიორობა გაუწიოს სანდო ინვესტორს განახლებადი ენერგიის პროექტებში

GEDF თვლის, რომ არის ერთობლივი საწარმოს უმცირესობის მეწილე, სასურველია კაპიტალის 30% -ზე ნაკლები, ან პროექტის ინვესტიციის მთლიანი ღირებულების 10%.

GEDF– ს შეუძლია წვლილი შეიტანოს როგორც ფულადი, ასევე ფულადი სახსრებით. ნატურალური წვლილი შეიძლება იყოს თავად პროექტთან, ან რაიმე სხვა აქტივთან ან მომსახურებასთან.

+GEDF– ს უნდა ჰქონდეს გასასვლელი ვარიანტი განსაზღვრულ ეტაპზე, ძირითადად, ექსპლუატაციის შემდეგ.

აღნიშნული ფონდი ემსახურება ინვესტირების მიმართულებას და მინუსი ისაა, რომ გამოუცდელი მეწარმისათვის ის მიუღწევადია.

აქვე უნდა ვისაუბროთ საქართველოში აღნიშნულ პერიოდში შექმნილ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისულ გეგმაზე , ამ გეგმის წყალობით დაიგეგმა განხორციელდა შემდეგი ნაბიჯები (https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan)

- 300-ზე მეტი ფერმერი (გლეხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას თანადაფინანსებით შეიძინა, რომელმაც შეუმსუბუქა და ააჩქარა მისი საქმიანობა.
- შეიქმნა აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რისი დახმარებითაც დაიგეგმა სხვადასხვა ხელშემწყობი პროექტები.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება,
- აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა, რითიც სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილ ტექნიკის საწვავზე ნაკლები დანახარჯის გაწევა მოუწიათ. შეგახსენებთ რომ კრიზისის პერიოდში რეკორდულ მაჩვენებელზე ავიდა საწვავის ფასი.
- შეღავათიანი აგროკრედიტი, რამაც იდეაში უნდა შეძლოს დააკომპენსიროს ის დანაკარგი რაც გამოიწვია რეალიზაციის არხების დაკეტვამ. აღნიშნული შეღავათით კი გლეხი შეძლებს მიმდინარე რუტინული პროცედურები დააფინანსოს.
- სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა. ეს პროგრამა აქტიურად ასტიმულირებს იმ მეწარმეებს , რომლებსაც აქვთ სოფლის განვითარებისათვის ხელშემწყობი პროგრამები. ეს კიდევ ემსახურება სოფელს როგორც

მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით ასევე სოფლად მოსახლეობის შენარჩუნების მიზნით.

- - „ახალგაზრდა მეწარმე“, ეს ორგანიზაცია ემსახურება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

- დანერგე მომავალი, დაგეგმილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროექტი მიმართულია თავისუფალი და გამოუყენებელი მიწების ასათვისებლად, სტიქიური საშიშროების ქვეშ მყოფი ადგილების დაცვისაკენ,მრავალწლოვანი ბაღების გამრავლებისაკენ, სანერგე მეურნეობის დამკვიდრებისაკენ.

- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა, აღნიშნული პროგრამა ბენეფიციარების ტექნიკური მომსახურების გაწევისაკენაა მიმართული და ეხმარება მათ ტრენინგების სემინარების და სხვა სახის დახმარების მიწოდებით.

- აგროდაზღვევა- მოქმედი პროგრამაა რომელიც ახდენს სადაზღვევო კომპანიებში პრემიის სუბსიდირებას შემდეგი სემთხვევებისათვის:

  - სეტყვა;
  - წყალდიდობა;
  - ქარიშხალი;
  - საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამა და არა მხოლოდ ეს, მიმართულია ძლიერი ადგილობრივი და დამოუკიდებელი მეწარმეობის ჩამოყალიბებისაკენ. თუმცა არ არის განსაზღვრული მაკონტროლებელი ბერკეტი რის გამოც მიზანი სცდება ხოლმე შედეგს და იჩაგრება რეალური ბენეფიციარი აღნიშნული პროექტებისა. როგორც ხედავთ საკმაოდ მრავალისმომცემი ჩამონათვალია და საკითხავია, მაინც რატომ გვიჭირს ხოლმე ბიზნესის მართვა და განვითარება. ჩვენი თემის მთავარი არსიც ესაა რომ შევეცადოთ ავხსნათ მიზეზი და შევძლოთ შედარებით მისი გამოსწორება.

თავი III. აჭარის მთიანეთის ბიზნეს-გარემო და მოქმედი სახელმწიფო პროგრამები

3.1 სამეწარმეო გარემოს მიმოხილვა აჭარის მუნიციპალიტეტებში და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები -SWOT ანალიზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. საზღვარი სამხრეთ-დასავეთით გადის საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე, ჩრდილოეთით გურიას ესაზღვრება, აღმოსავლეთით- სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, შავი ზღვით აჭარა უკავშირდება ბულგარეთის ვარნისა და ბურგასის, რუმინეთის კონსტანტის, უკრაინის ოდესისა და ყირიმის, რუსეთის თურქეთის და კრასნოდარის, მარმარილოს ზღვის რეგიონებს. აღნიშნული უპირატესობა ტერიტორიული მდებარეობისა აჭარას აძლევს კარგ შესაძლებლობას დაამყაროს საერთაშორისო კავშირები, როგორც სახმელეთო ისე საზღვაო საზღვრების მქონე ქვეყნებთან სხვადასხვა საერთო პროგრამების განსახორციელებლად.

აჭარა იყო და არის თავისი სტრატეგიული მდებარეობით საინტერესო და მიმზიდველი რეგიონი, ამიტომაც ყოველთვის იპყრობს ინვესტორებისა და მოსაზღვრე ქვეყნების ყურადღებას. ინვესტორები ნათლად ხედავენ იმ შესაძლებლობებს და პოტენციალს , რაც ალამაზებს და ამშვენებს ამ პატარა და მრავალფეროვან მხარეს, რის გამოც ხშირად დებენ მასში დიდი ოდენობით ინვესტიციებს.

ძირითადი ქალაქი ბათუმი ხასიათდება ბიზნესის მრავალსახეობით და ამას ხსნის მისი ტურისტული დანიშნულებაც. ამ მშვენიერ ქალაქში ერთადაა თავმოყრილი საზღვაო და სახმელეთო ტურისტული ადგილები, სავაჭრო ცენტრები, საბაგირო, ტურისტული ძეგლები, რეკრეაციული ადგილები, რესტორნები, კაფეები, ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს ვიზიტორებში.

აჭარა მოიცავს ხუთ მუნიციპალიტეტს:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტი;

2.ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;

3.ქედას მუნიციპალიტეტი;

4.შუახევის მუნიციპალიტეტი;

5.ხულოს მუნიციპალიტეტი;

თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს თავისი უპირატესობები და ასევე ნაკლოვანებებიც.

ქობულეთი თავისი მდებარეობით ტოლს არ უდებს ხოლმე ბათუმს თუმცა არც ისეთი პოპულარობით სარგებლობს ინვესტირების მიმართულებით, როგორც ბათუმი.

ხელვაჩაური ჯერ კიდევ განვითარების გზაზეა და იხვეწება და ყალიბდება როგორც თვითმმართვეი ერთეული სადაც არანაკლები ტურისტული ზეგლი და ადგილია მოსანახულებლად ამავდროულად თურქეთთან საგზაო კავშირი აძლევს მას განვითარების საშუალებას.

ქედა გამოირჩევა თავისი რელიეფური სილამაზით და აქვს შესაძლებლობა ღვინის, მინერალური წყლის, საჩითილე თუ ზოგადად სოფლის მეურნეობის მიმართულებით დარგების განვითარებით. ბოლო პერიოდში შეიქმნა არაერთი ტურისტული ადგილი რომლებიც სწორედ ზემოთ ხსენებული პროექტების ხელშეწყობით ჩამოყალიბდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ადგილობრივ ისე უცხოელ ტურისტებში. სწორედ ამ პროექტების დამსახურებაა რომ ამოდენა პოტენციალი ტყუილად არ იხარჯება და დამარხული ოქრო სათანადო ადგილს იკავებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში.

ასევეა ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტები, თუკი ადრე კვების ობიექტები იყო ორი და მათგან არცერთი გთავაზობდათ მრავალფეროვან პროდუქციას ახლა უკვე ათეულობითაა ბაზარზე, თუკი ადგილობრივ ბაზარზე ვერ ყიდუობდით ტექნიკას და სხვა საყოფაცხოვრებო საქონლის შესაძენად გიწევდათ ქალაქში ჩასვლა დღეს უკვე ბაზარი შედარებით გაჯერებულია საჭირო საქონლითა და მომსახურებით და შეგიძლიათ ნაკლები დროისა და ფინანსების დანახარჯით იგივე პროდუქცია და მომსახურება მიიღოთ ადგილობრივად.

იყო დრო როცა დიდთურქობამ თუ სხვადასხვა ომებმა აჭარა ძლიერ დააზიანეს და ეს ოაზისი ლამის უდაბნოდ აქციეს მაგრამ საღმა აზრმა გაიმარჯვა და ეს

დალოცვილი მხარე ჯერ კიდევ ამაყად ამშვენებს საქართველოს. ჩვენს გამოკითხვაში სწორედ ამ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ბიზნესის წარმომადგენლები გამოიკითხა და მასში ნათლად ჩანს ის გავლენა რაც გამოიწვია ამ ხშირადხსენებულმა ბიზნესის ხელშემწყობმა პროგრმებმა.

რეგიონს აქვს სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო გზები. აჭარაზე გადის აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრალური მაგისტრალი. ასევე შესაძლებელი ძველი მაგისტრალების აღდგენა რაც გაუხსნის მას გზებს სამხრეთ მიმართულებით ირანისა და სომხეთის ბაზრებთან. ბათუმზე გადის ასევე TRACECA-ის ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის ნაწილი.

ბიზნესის დაწყებისათვის უკვე აქტუალური გახდა SWOT (წარმოადგენს ინგლისურ აბრევიატურას) ანალიზის გაკეთება და შემდგომ მარტივად ხვდება მეწარმეც და ინვესტორიც ღირს თუ არა დროის რესურსის და სხვა საჭიროებების დახარჯვა აღნიშნულ პროექტზე. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ წარმოგიდგინოთ აჭარის მთიანი მუნიციპალიტეტები SWOT ანალიზი.

S-strengths(ძლიერი მხარეები)-ლანდშაფტის მრავალფეროვნება, ფლორისა და ფაუნის განსხვავებულობი, წყლის რესურსის სიუხვე, მინერალური წყები, ბუნებრივი რესურსები მათ შორის:თევზი ხე-ტყის რესურსი, ჰიდროელექტროსადგურების განაშენიანების ხელსაყრელი პირობები,იაფი ,თუმცა ნაკლებკვალიფიციური მუშახელი, კარგი შესაძლებლობა გადამამუშავებელი მრეწველობისა და ხელოსნობის მიმართულებით განვითარებისთვის, კომერციული ორგანიზაციების ,კერძოდ ბანკების არსებობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მრავალფეროვნება, დამაკმაყოფილებელი სამედიცინომომსახურება, კულტური ძეგლების სიუხვე, სატრანსპორტო მომსახურების შეუფერხებელი მუშაობა, სხვადასხვა ასოციაციების არსებობა (ჯადრაკის, ჭიდაობის და სხვა), ელექტროენერგიისა და საკომუნიკაციო გაყვანილობების გამართულობა საგანგებო სამსახურის ეფექტური მუშაობა, მესაქონლეებისათვის საძოვრების სიუხვე, კლიმატის მრავალფეროვნება, მოსავლიანი ნიადაგი, ორგანული მეურნეობის პრიორიტეტულობა, ადგილობრივ საქონელზე მზარდი მოთხოვნა, ხელსაყრელი პირობები მარცვლეული, ბსტნეული და სხვა სახის

კულტურების მოსაშენებლად, საზღვაო და სამთო კურორტების ფართო არჩევანი, ულამაზესი მდინარეები,ტბები და ჩანჩქერები, რეგიონის კულტურის ავთენტურობა,.

W-weaknesses(სუსტი მხარეები)- ტურისტულ ადგილებში ძირითადი გზის ინფრასტრუქტურის ნაკლოვანება, პროფესიონალური გამოცდილების მქონე შრომის ბაზრის სისუსტე, ტურისტთა მომსახურების სტანდარტული სერვისის გამოუცდელობა,გასართობი და სხვა ტურისტული აქტივობების ნაკლებობა, განათლების ნაკლებობა უცხო ენების ცოდნის მიმართულებით, საერთაშორისო სტანდარტს მორგებული კაფეების, რესტორნებისა და ბარების ნაკლებობა, ბუნებრივი კატაკლიზმების შესახებ ცოდნის ნაკლებობა და სტიქიური უბედურებების მართვის გეგმის არარსებობა, ადგილობრივი აგრო-პროდუქტების ნაკლებობა წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვის (გადამუშავების) უმნიშვნელო სისტემა, მცირე მიწათმესაკუთრეობა,დაბალხარისხიანი სათესლე მეურნეობები,სამეურნეო დანადგარების სარემონტო ცენტრებისა და სათადარიგო ნაწილების მაღაზიის არ არსებობა, დაბალი ცნობიერება რეგიონალური და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე, დაბალი ცოდნის დონე სოფლის მეურნეობის მართვის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სფეროში, ოფიციალურად რეგისტრირებლი მესაკუთრეობის ნაკლებობა,საწყობებისა და ცივი შესანახი ობიექტების არ არსებობა, ხარისხიანი ირიგაციის სისტემების უმნიშვნელო რაოდენობა, შეღუდული წვდომა სასაკლაოებზე, შეზღუდული წვდომა ვეტერინარიასა და აგრობიზნესთან დაკავშირებულ საკონსულტაციო ცენტრებზე,შეფუთვის ცუდი პრაქტიკა, მცირე გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა, საძოვრების ცუდი მოვლა-პატრონობა,სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფრაგმენტული წვდომა, ცუდი კონსოლიდაცია და კოორდინაცია ფერმერებს შორის, სურსათის უვნებლობისდა ხარისხის მართვის არაეფექტური ღონისძიებები, მწყობრიდან გამოსული წყლის რეზერვუარები, შშმ პირებზე არაადაფტირებული ინფრასტრუქტურა, ველობილიკების ნაკლებობა, ისტორიულ ძეგლებთან დამაკავშირებელი გზების შეზღუდული რაოდენობა,საზოგადოებრივი სველი წერტილების არარსებობა/ნაკლებობა, ხე-ტყის უკანონო ჭრა,მცენარეთა დაავადებები.

O-opportunities(შესაძლებლობები)- ბუნებრივი საშიშროებების - ზვავების, მეწყრების და სხვა - წინასწარი შეტყობინებები სისტემების განვითარება, ნარჩენების მართვის სისტემის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წყლის რესურსების მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება,სასუქისა და პესტიციდების გამოყენებით, ხის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, ხელსაქმის ინდუსტრიის ჩამოყალიბება, ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმის განვითარება, ქალთა და ახალგაზრდული მეწარმეობის სტიმუირება, ადგილობრივი პროდუქტების/სერვისების რეგიონალური /ეროვნული ბრენდინგის ხელშეწყობა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულე-ბების (VET-ის) სტუდენტების დაკავშირება სამეწარმეო საქმიანობასთან, ინოვაციური, ახალგაზრდული ბიზნესის ხელშეწყობა,სკოლების ბაღების რეაბილიტაცია და აღჭურვილობით უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლებისა და მუზეუმების შენობების განახლება, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა, არსებული სასწრაფო დახმარების მანქანების რემონტი და ახლის დამატება,სკოლის ბაღების პედაგოგთა დატრენინგება,შშმ პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რეკრეაციული ადგილებისა და ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურული პროექტების გაუმჯობესება, სასათბურე მეურნეობის დახვეწა, საწყობებისა და ცივად შესანახი ობიექტების დაარსება,წვდომის გაუმჯობესება ვეტერინარულ და ტექნიკურ მომსახურებაზე, აგრობიზნესთან დაკავშირებული კონსულტაიის გაწევა, თანამედროვე საირიგაციო სისტემების შემოღება.

T-threats(მოსალოდნელი საფრთხე)-ავთენტურობა და კულტურული იდენტობის საფრთხეებთან დაკავშირებული რისკები,შეზღუდული წვდომა ფინანსებზე, სპორტისა და აქტიური დასვენებისაათვის საჭირო სამაშველო და სადაზღვევო სიტემის არ არსებობა, ტრადიციული და თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიის შერწყმა, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებები, საბაზრო ფასების მერყეობა,რესურსების მზარდი ღირებულება, არარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწერბის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც ზღუდავს წდომას რეგიონალურ და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებზე, ასაკოვანი პედაგოგები, მწვრთნელები და სხვა მუშაკები, სამუშაო ძალის მნიშვნელოვვანი მიგრაცია,ეროზიის მაღალი რისკი,

ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გარემოსდაცვითი საკითხების ნაკლებად გათვალისწინება.

3.2 ბიზნესის დაფინანსების პარტნიორი ინსტიტუტები, მუნიციპალური პროგრამების ანალიზი აჭარის მთიანეთში

,,საქართველო 2020“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონულ განვითარებას და ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკური ფონის შექმნისკენაა მიმართული. აღნიშნული პროგრამის პრიორიტეტებს შორის არის რეგიონული დამოუკიდებლობა და შესაბამისად უპრიანია რომ აჭარის რეგიონი რომელიც გამოირჩევა თავისი სტრატეგიული მდებარეობით, რელიეფური მრავალფეროვნებით, ასევე აჭარა ზღვისპირა რეგიონია და შესაბამისად აქვს როგორც საზღვაო ისე სახმელეთო საზღვრებიც მეზობელ ქვეყნებთან. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მოხდეს წარმოების სტიმულირება და ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ამ პირობებში კი რა თქმა უნდა მოიაზრება ბიზნესის ამუშავებისთვის ის პირველადი მოთხოვნების დახვეწა რაც უკავშირდება თუნდაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სერვისის დახვეწას, ტურიზმის ხელშეწყობას, ინოვაციური ტექნოლოგიების დამკვიდრების ხელშეწყობას და ა.შ.

ბოლო წლების განმავლობაში ხშირად ხორციელდება და ცხადდება სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც მიმართულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე. ასეთი პროგრამები განმახორციელებელი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულები ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მეწარმეების გამოვლენასა და განვითარებაზე.

აჭარა უცხოელი ინვესტორებისათვის ინვესტირებისათვის თბილისის შემდგომი მიმზიდველი ადგილია სწორედ ამიტომ ნათელია რომ სახელმწიფოს სტიმული დიდი მნიშვნელობის მქონეა ამ ლამაზი და მნიშვნელოვანი რეგიონის წინსვლისთვის.

არ შეიძლება თემის მიღმა დარჩეს ის ორგანიზაციები, რომლებიც მუნიციპალურ დონეზე აქტიურად ცდილობენ ლოკალური ბიზნესის განვითარებაზე იზრუნონ და აქვე აღვნიშნავ დავასახელებ ENPARD. ორგანიზაცია რომელმაც 2013 წლიდან დღემდე

ქედაში, შუახევსა და ხულოში და ამავე დროს სხვა რეგიონების მუნიციპალიტეტებში, შეძლო ნაწილობრივ ბანკებისგან აერიდებინა ადგილობრივი მეწარმეები და წლებია უკვე, რაც აფინანსებს ადგილობრივ მეწარმეებს. საინტერესო და სწორი მიდგომა აქვს აღნიშნულ ორგანიზაციას ვინაიდან იგი ჯერ იკვლევს ადგიობრივ მდგომარეობას თითქმის ყველა ჭრილში, აფასებს მის ბიზნეს პოტენციალს ისახავს ეფექტურ სამოქმედო სტრატეგიას და იწყებს რაღათქმაუნდა ბენეფიციართა მოძიებას და დახმარებას. მიუხედავად იმისა, რომ პროექტები ხშირად დროში ძალიან გაწელილია და აქვს ხარვეზებიც კონტროლის ნაწილში, ჩვენი არით, მაინც ახერხებს მეწარმეების დაფინანსებას და შეძლებისდაგვარად დახმარებას. აღნიშნული პროექტი მორგებულია სოფლად მცხოვრები მეწარმეების სტიმულირებისაკენ და სოფელში სიღარიბის დაძლევისკენ.

2013-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა:

I ფაზა – € 52 მილიონი, 2014-2017წწ.;

II ფაზა – € 50 მილიონი, 2016-2019წწ.;

III ფაზა – € 77.5 მილიონი, 2018-2022წწ.

აღნიშნული ინვესტიცია, რომელიც არ მოითხოვს მეწილეობას და უკან დაბრუნებას ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯია მომავალი ეკონომიკური წინსვლისთვის.

ჩვენ გამოვიკვლიეთ ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემები ბიზნესზე. ამისათვის მივმართეთ საქართველოს სტატიტისტიკის სამსახურს და ასევე ჩავატარეთ ონლაინ გამოკითხვა, რაშიც მონაწილეობდა აჭარის მთიანი რეგიონის სამი მუნიციპალიტეტი: ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ბიზნეს სუბიექტები. აპლიკანტები შერჩეულია შემთხვევის პრინციპით, თუმცა ინფორმაციული ბაზა მოქმედ სუბიექტებზე მოვიძიეთ ადგილობრივი საჯარო და კერძო სტრუქტურების ხეშეწყობით.

თავდაპირველად კი შევეხოთ აუცილებლად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და ამის საილუსტრაციოდ იხილეთ შემდეგი ცხრილები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

ცხრილი №3.

ათასი აშშ დოლარი

რეგიონი	2014	2015	2016	2017	2018	2019*
ხელ	**1,836,980.0**	**1,729,087.9**	**1,650,327.6**	**1,962,613.5**	**1,265,236.1**	**1,267,724.4**
მათ შორის:						
ქ. თბილისი	1,343,187.6	1,383,264.6	1,415,376.3	1,514,709.8	1,033,290.7	820,168.9
აჭარა	169,075.9	207,849.1	108,433.9	209,642.1	75,551.3	207,031.2
კახეთი	15,796.3	17,542.5	3,421.7	12,113.9	-9,785.3	6,016.5
სამცხე-ჯავახეთი	74,290.8	31,274.9	30,812.9	38,856.5	44,795.7	62,942.6
ქვემო ქართლი	55,671.5	21,180.5	29,129.9	64,701.7	87,028.1	64,656.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	93,430.7	50,730.1	34,700.8	55,912.5	-10,530.8	77,060.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	...	...	34,147.0	54,828.0	-10,828.9	74,438.1
გურია	...	...	553.8	1,084.5	298.1	2,622.1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	27,951.1	25,701.8	25,408.1	59,852.7	26,763.1	18,085.4
იმერეთი	...	...	25,347.0	57,358.6	26,269.6	14,821.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	...	61.1	2,494.1	493.5	3,263.6
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	57,576.2	-8,455.7	3,044.0	6,824.4	18,123.2	11,762.6
შიდა ქართლი	...	...	4,542.1	1,087.8	15,240.0	440.6
მცხეთა-მთიანეთი	...	...	-1,498.1	5,736.6	2,883.3	11,322.0

წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika

აღნიშნულიდან გამომდინარე მართებულია სახელმწიფოს ორიენტის წარმოადგენდეს აჭარის რეგიონის განვითარების ხელშეწყობა იმ რეალური პოტენციალიდან და ინტერესიდან გამომდინარე რასაც ხედავს უცხოელი ინვესტორი ჩვენს რეგიონში. ვინაიდან მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის ნაწილში არ მოიზრება დამოუკიდებლად.

გარდა ამისა მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო შემდეგ №4 ცხრილზე, სადაც აშკარად ჩანს, თუ რაოდენ ყურადსაღებია და პრიორიტეტულია ჩვენი რეგიონი, ბიზნეს სუბიექტთა სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენით.

თანაფარდობის ნაწილში გამოანგარიშებულია აქტიური სუბიექტების პროცენტული წილი რეგისტრირებულ სუბიექტთა მიმართებაში და თქვენ ნათლად ხედავთ, რომ აჭარა ამ ნაწილში პირველ ადგილს იკავებს, რაც დამეთანხმებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონულ ჭრილში. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ზემოთ თქმული მოსაზრება და ვიმედოვნებ შეძლებს სახელმწიფო ამ პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას.

საქართველოში ტეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

ცხრილი №4.

(1 აპრილი 2020)

რეგიონები	**რეგისტრირებული ხუბიექტი**		**აქტიური ხუბიექტი**		
	ხუბიექტთა რაოდენობა	**%**	**ხუბიექტთა რაოდენობა**	**%**	**თანაფარდობა %**
ხულ	**775097**	**100.00**	**184633**	**100.00**	23.8
აფხაზეთის ა.რ.	170	0.02	12	0.01	7.1
აჭარის ა.რ.	69071	8.91	18605	10.08	26.9
გურია	18454	2.38	4587	2.48	24.9
იმერეთი	104246	13.45	24457	13.25	23.5
კახეთი	47282	6.10	11193	6.06	23.7
მცხეთა-მთიანეთი	14401	1.86	3376	1.83	23.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6410	0.83	1350	0.73	21.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	59326	7.65	13000	7.04	21.9
სამცხე-ჯავახეთი	23250	3.00	5434	2.94	23.4
ქ. თბილისი	341276	44.03	79741	43.19	23.4
ქვემო ქართლი	57397	7.41	13926	7.54	24.3
შიდა ქართლი	33814	4.36	8952	4.85	26.5

წყარო:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika

როგორც ვთქვით აჭარაში ბოლო წლებში აქტუალური გახდა ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამები და შესაბამისად ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკითხა ის ბიზნეს სუბიექტები, რომლები საქმიანობას ეწევიან აჭარის მუნიციპალიტეტებში. წარმოგიდგენთ კვლევას დიაგრამების საშუალებით.

დიაგრამა №1.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გამოკითხვაში მონაწილეობდა 115 -მდე მოქმედი სუბიექტი ქედის, შუახევისა და ხულოს ფარგლებში. როგორც ხედავთ გამოკითხულთა 30% აღმოჩნდა შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოების წარმომადგენელი. 26,4% კი მცირე მეწარმის სტატუსის მქონეა რაც აღნიშნულ რეგიონებში დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმით სარგებლობის უპირატესობას იძლევა,კერძოდ საშემოსავლო გადასახადის ნაწილში ნაცვლად 20% -ისა იხდის 1%-ს.

დიაგრამა №2.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

აღნიშნულ კითხვაში უმრავლესობის თანხმობით დასტურდება , რომ ბიზნესის როლი ადგილობრივი ეკონომიკისათვის და მიმაჩნია რომ ზოგადად სახელმწიფოს განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია. 63 % მას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და 29,4 % -ისათვის კი ეს საშუალოდ მნიშვნელოვანია.

დიაგრამა №3.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

ასევე ყურადსაღებია წლები, თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებს ეს საწარმოები და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს 68.2% ფუნქციონირებას იწყებს 2015-2020 წლებში. აღნიშნული თარიღები კი ემთცვევა სწორედ იმ პროგრამების გამოჩენას, რომლებიც აფინანსებენ ბიზნესებს.

დიაგრამა №4.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

აღნიშნული კითხვის პასუხებიდან ვიგებთ რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ ამჯობინებს ბიზნესისათვის საკუთარი დანაზოგის გამოყენებას, რაც არაა საკმარისი მაღალი და ძლიერი დონის წარმოებისათვის სამწუხაროდ. ასევე ჯერ კიდევ აქტუალურია სესხები კომერციული ორგანოებიდან , თუმცა სამთავრობო ხელშეწყობა არ ჩამოუვარდება მათ და ნათელია სახელმწიფოს, როგორც მთავარი მასტიმულირებელი ორგანოს როლი ბიზნესში.

დიაგრამა №5.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

აღნიშნული კითხვით ვცადეთ გაგვეგო თუ რა მასშტაბს მოიცავდა დაფინანსების პროგრამები და არც თ ისე დაბალი მაჩვენებელია 40,9 %. შეიძლება ითქვას რომ ამ მაჩვენებლით ბევრის მიღწევა არის შესაძლებელი.

დიაგრამა №6.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

მოგეხსენებათ, რომ ერთია როცა იღებ დაფინანსებას და მეორე რამდენად გონივრულად ხარჯავ მას. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვესვა კითხვა თუკი მიიღო პირმა დაფინანსება რა გავლენა იქონია ამან ბიზნესზე და პასუხიც ლოგიკური და დამაკმაყოფილებელია 70,5 % პოზიტიურად ახასიათებს მას.

დიაგრამა №7.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

ასევე საინტერესოა მოსახლეობის ინფორმირებულობა დონორ ორგანიზაციებზე, რომლებიც აქტიურად მუშაობენ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 55,5% -ს იცნობს ასეთ ორგანიზაციებს და 30 %-ს კი სმენია მათზე.

დიაგრამა №8.



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერთ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით

გარდა ცნობადობისა, საინტერესო ფაქტად ჩავთვალეთ, თუ რომელი პროგრამა სარგებლობს უფრო მეტი პოპულარობით და აღმოჩნდა რომ ,,აწარმოე საქართველოში“ გამოკითხულთა 57,9% -ისათვის უფრო წარმატებული პროექტია. შენდგომ ადგილს კი იკავებს ENPARD საქართველო, 15,9% -ით მესამე ადგილზეა ,,მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ბოლოს ,,სტარტაპ საქართველო“.

3.3. ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების ძლიერი და სუსტი მხარეები და სრულყოფის ღონისძიებები თანამედროვე ეტაპზე

ყველა საქმიანობას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და არც ბიზნესის დაფინანსება გახლავთ გამონაკლისი. სამწუხაროდ იმ დადებითი შედეგების გვერდით ჩნდება ხოლმე ხარვეზები რაც, უშლის პროექტებს საბოლოო დანიშნულებას მიაღწიონ.

თქვენი ფულის, სახელმწიფო ბიუჯეტის თუ სხვა სახის ინვესტიცია მცირე ბიზნესში არის შესანიშნავი გზა ადგილობრივი მეწარმეების დასახმარებლად და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში. ეს დიდ ბიზნეს სუბიექტებს აჩერებს შედარებით და საშუალებას აძლევს მცირე ზომის ბიზნესის მფლობელ ადამიანებს შეეცადონ აიხდინონ თავიანთი ოცნებები. თქვენ, როგორც დამფინანსებელი, მათ ფულის შემოდინების საშუალებას მისცემთ, რათა ბიზნესი შექმნან და ეს შეიძლება იყოს რაღაც განსაკუთრებულის დასაწყისი.

უფრო მეტიც, თქვენთვის აშკარად ხელსაყრელია იმ თვალსაზრისით, რომ შეგიძლიათ მიიღოთ მნიშვნელოვანი თანხა ფულადი სახსრებიდან თქვენი გაცემული ინვესტიციიდან , როცა ხართ ბიზნესის მეწილეც. თუ მცირე ბიზნესი კარგად მუშაობს და დაიწყებს ზრდას ,მაშინ მიიღებთ წილებს მათ მოგებაში. იფიქრეთ იქიდან გამოსულ ყველა მასიურ კომპანიაზე, რომლებმაც მცირე ბიზნესი წამოიწყეს - წარმოიდგინეთ თუ იყავით თავდაპირველი ინვესტორი. ეს განიჭებთ უნიკალურ შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა აღარასოდეს მიიღოთ. თუმცა აღსანიშნავია უამრავმა ადამიანმა დაკარგა აბსოლუტური შანსი, მცირე ბიზნესში ინვესტიციების წყალობით.

მცირე ბიზნესის ინვესტიციის მინუსი არის ის, რომ თქვენ ნამდვილად არ გაქვთ დიდი კონტროლი იმაზე, თუ როგორ იმუშავებს ბიზნესი. თქვენ მასში მხოლოდ ინვესტიცია ჩადეთ, რაც ნიშნავს, რომ მაყურებელი ხართ. თუ არ ხართ მეწილე, მაშინ შანსი გაქვთ, რომ არ გქონდეთ ბევრი სათქმელი იმაზე, თუ როგორ მუშაობს ბიზნესი და რას აკეთებს. შედეგად, არ არსებობს გზა კომპანიის შეჩერებამდე შეჩერებისა და არასწორი მიმართულებით წასვლის შეჩერებამდე, რაშიც შეიძლება ფულის დაზოგვა მოგიწიოთ. ბევრ ქვეყანას აქვს სტაბილური ვალუტა. ჩვენი ქვეყანა კი სადაც ეროვნული ვალუტა არც ისე სანდოა, სადაც აშშ დოლარი უფრო ძლიერია და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც არც ისე სახარბიელოა, შესაძლებელია ინვესტიციის პროგნოზირებადი დაბრუნება ეჭვის ქვეშ დადგეს მცირე ბიზნესის პირდაპირ ინვესტიციამ შეიძლება თავდაყირა დააყენოს ბიზნეს გეგმის ბიუჯეტი. მცირე ბიზნესს, რომელიც კონკურენციას უწევს ადგილობრივ ან რეგიონალურ ადგილს, შეუძლია უცხოური ინვესტიციების ბერკეტი გამოიყენოს ბაზრის უპირატესობის მისაღებად. თუმცა ეს

ნამდვილად არაა მარტივი და არც მოკლევადიანობით ხასიათდება . თუმცა ეს ნამდვილად აის ჭეშმარიტი გზა წარმატებისა.

მცირე ბიზნესში ინვესტიციის მთავარი უარყოფითი მხარეა მასთან დაკავშირებული რისკი. როდესაც სანდო ბიზნესს ფლობთ, მაშინ ნაკლებ რისკთან გაქვთ საქმე, რადგან იცით, რომ ეს საქმიანობა სტაბილურად მიმდინარეობს. ახლად დაწყებული ბიზნესის შემთხვევაში, ყველაფერი შეიძლება დასრულდეს ერთი წლის განმავლობაში. მცირეწლოვანი ბიზნესის დახურვის საკმაოდ გასაოცარი პროცენტია ყოველწლიურად, ასე რომ თქვენ როგორც დამწყები ეკონომიკური სუბიექტი საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ ამწყვდევთ თქვენს ფულად სახსრებს, რაც შეიძლება ბევრი ფული დაგიჯდეს. ამის მოსაგვარებლად კი სწორედ ნათელი მაგალითია გერმანიის და სხვა ქვეყნების მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობენ ახლდაფეხადგმულ ბიზნესებს საგადასახადო წნეხისაგან განთავისუფლებით, კვალიფიკაციის ამაღლებით, იურიდიული და სხვა სახის დახმარებებით.სახელმწიფოს როლი ნამდვილად არ მთავრდება ადმინისტრაციული საკითხების სრულყოფით და მნიშვნელოვანია მუდმივად ხდებოდეს ახალი გზების ძიება ეკონომიკის წახალისებისაკენ.

ცხადია, ციფრულ ხანაშიც კი, დისტანცია მნიშვნელოვანი პირობაა, როდესაც საქმე ეხება მცირე ბიზნესის პირდაპირ ინვესტიციას. უცხოეთში მცირე ბიზნესის ინვესტიცია გულისხმობს თქვენი ინვესტიციის თვალყურის დევნასა და დასაცავად წინააღმდეგობების დაძლევაში დახმარებას. უცხოური სიახლეების ჩათვლით, მათ შორის ადგილობრივი საკითხების, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე, ისევე როგორც ეროვნული სიახლეები, რომლებიც გავლენას ახდენს გადასახადებსა და სამოქალაქო საკითხებზე, შეიძლება რთული ან თუნდაც შეუძლებელი იყოს. ამან შეიძლება გამოიწვიოს პროგნოზირება და რისკის მართვის გართულება. იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სურთ "ხელების გაწევა", როდესაც საქმე ინვესტიციებს ეხებათ, მცირე ბიზნესის პირდაპირი ინვესტიცია შეიძლება არ იყოს სწორი არჩევანი. იგივენაირად თქვენ როგორც დამფინანსებელი ერთჯერადი დაფინანსებით არ უნდა შემოიფარგლოთ და გარკვეული პერიოდი უნდა შეძლოთ დაეხმაროთ ბენეფიციარს

წარმოების განვითარებაში, ან იყოთ მაკონტროლებელი ბიზნესისა თუ რამდენად ადეკვატურად იხარჯება თქვენი ფინანსები.

მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესს ნამდვილად ჰქონდეს შთამბეჭდავი გეგმა, რომლითაც დარწმუნებული იქნებით რომ წარმატებას მიაღწევთ. ეს ამცირებს მისი დახურვის შანსს ერთ წელიწადში და ამ შემთხვევაში მათ დიდი შანსი აქვთ რომ დამკვიდრდნენ ბაზარზე. ამ მხრივ აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის მაგალითი, რომელიც პირველია მცირე და საშუალო მეწარმეებზე სანდოობით. ეს გამომდინარეობს იქედან რომ ახლადგახსნილი ბიზნესები 1 წელზე მეტ ხანს მოღვაწეობენ ბაზარზე და წარმატებული მეწარმე სუბიექტები 5 და მეტი წლით არსებობენ.

მცირე ბიზნესის პირდაპირი ინვესტიციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარეა ის, რომ თითქმის ყველა მთავრობა გთავაზობთ სტიმულს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას. უცხოური ფულის შენარჩუნება ქვეყნის ანგარიშებით, ამით ქვეყნის ეკონომიკისთვის სტაბილიზირებულ ეფექტს ქმნის. ეს უკეთესად აკავშირებს ქვეყანას გლობალურ ფინანსურ საზოგადოებასთან და მთავრობას აძლევს პოლიტიკურ იზოლაციას არეულობების წინააღმდეგ. მთავრობის მიერ უცხოური ინვესტიციის მიზნებიდან გამომდინარე, სტიმულირება შეიძლება მოიცავდეს თანხის ან საგადასახადო გამონაკლისების დაშვებას ან შემცირებას. ქვეყნებმა შეიძლება აგრეთვე უზრუნველყონ შრომის, კვლევისა და განვითარების სტიმულირება რეგიონის საფუძველზე. ინვესტიციის მოცულობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინვესტორის მიერ ქვეყანაში მიგრაციის უნარზე.

პირდაპირი ინვესტიციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც გულისხმობს უცხოური ფირმის მაკონტროლებელი ინტერესის შეძენას, დამოკიდებულია კონკრეტულ გარიგებაზე. ფაქტორები მოიცავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კლიმატს, პროდუქტის ტიპს და საგადასახადო წესებს, როგორც ინვესტორის სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს ყველაფერი ძალიან მჭიდროდ უნდა იქნას განხილული, სანამ არ გადაწყვეტთ ინვესტირებას კონკრეტულ რეგიონში კონკრეტულ ბიზნესში. გარიგების დეტალებში შესვლამდე კარგია მცირედი ბიზნესის პირდაპირი ინვესტიციის დადებითი და უარყოფითი მხარეების ზოგადი წარმოდგენის შექმნა. ეს

ქმნის ერთგვარ სანდოობის ეფექტს ქვეყნისა და კონკრეტული სფეროს მიმართ თუმცა კვლევის ჩატარება არც თუ ისე ადვილი პროცესია . ამ დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა პირდაპირ და არაპირდაპირი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიან სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

ერთ-ერთი ნაკლული მხარე რეგიონული დაფინანსებისა არის რეგიონუალური სააგენტოების არ არსებობა. ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს ადგილობრივი საკონსულტაციო სააგენტოების , ფილიალების, კავშირების შექმნა. აღნიშნული ორგანოები მიზნობრივად უნდა მუშაობდნენ მხოლოდ ამ გეოგრაფიულ არეალებზე და მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეს მომსახურებები ადგილობრივად. საფრანგეთს და ევროპის სხვადასხვა ქვეყანას ახასიათებს მსგავსი შესაძლებლობების გადანაწილება არა მხოლოდ ცენტრალური არამედ ფედერაციულ, თვითმმართველ ორგანოებამდე, რაც სტრატეგიულად გამართლებული და დასაფასებელია.

ყოველი თვითმმართველი ორგანო უფლებამოსილი უნდა იყოს თვითონ დაისახოს პრიორიტეტები , სპეციფიკური მიდგომები, მიმართულებები და ამავდროულად შეღავათებიც. არ შეიძლება ყველა რეგიონზე ერთიანი მიდგომა იქნას გამოყენებული. ჯერ უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კვლევა და თუნდაც სვოტ ანალიზის ჩატარება თუნდაც გეოგრაფიული დაყოფის შესაბამისად და შემდგომ ამისა დაისახოს წინსვლის გეგმა.

ამ მიმართულებით ახალ ნაბჯებს დგამს ადგილობრივი განვითარების ჯგუფების დაარსებით ენპარდი , რომელიც მსგავსი მიმართულებით მუშაობს , თუმცა სამწუხაროდ ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი ვლინდება და საჭიროა უკეთესი პოლიტიკის შექმნა რაც უზრუნველყოფს საბოლოო, რეალური შედეგის დადებას.

ვინაიდან საქართველო ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელია ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ ჯერ კიდევ რჩება კვალიფიციური მუშახელის არ არსებობა მსგავსი სააგენტოების შემთხვევისათვის, რომლებსაც არ აქვთ გამოცდილება კვლევის, ანალიზის მიმართულებით. სწორედ ამიტომ რთულია მოემსახურონ იმ მიზნებს რასაც მართლა უნდა ემსახურებოდეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველი საქმიანობა და მათ შორის ბიზნესი მოითხოვს გულმოდგინებას, ერთგულებას და როგორც ამბობენ სიყვარულით ნაშენებს არაფერი შეედრება და შეეცილება. ალბათ გინახავთ და ბევრიც გსმენიათ იმ შემთხვევებზე როცა მიღებულ დაფინანსებებს გარკვეული პირები არამიზნობრივად იყენებენ და ბიუჯეტიდან გაღებული თანხებიც შესაბამისად არამიზნობრივად იხარჯება. თუნდაც არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ვინაიდან ამით, სხვას ართმევენ შანსს დადონ რეალური შედეგი ქვეყნის სასიკეთოდ . მაგალითისთვის გავიხსენოთ თუნდაც ის ბიზნესები, რომლებიც უცებ იხსნება და შემდგომ მალევე იხურება. დაფიქრებულხართ რა მიზეზით ნუთუ ასე მალე ჩაიქნია ხელი მესაკუთრემ, თუ ვერ შეძლო კონკურენციაზე შებრძოლება, ან იქნებ საქმე სულ სხვა რამეშია. იქნებ უმრავლეს შემთხვევებში ეს ინვესტორების თვალის ასახვევად ხდება ე.წ ფულის გათეთრების მიზნით. ასევე მიღებული თანხები რომლებიც ბიზნესის სტიმულირებისათვის გაიცემა იხარჯება რატომღაც ბენეფიციარების ფუფუნების საგნებზე მათ შორის კომფორტულ მანქანებზე, პირადი სახლების გარემონტებაზე, რაც ასე აქტუალური გახდა დღეს დავარქმევთ ჰოსტელს, ჰოტელს, გესტჰაუსს რა თქმა უნდა ინგლისური აბრევიატურებით ჩამოვწერთ უამრავ მიზეზს თუ რატომ უნდა გადმომცენ დაფინანსება მე და ასე მივიღებ გარემონტებულსახლს . ეს და სხვა მრავალი მაგალითი სამწუხაროდ არსებობს და უნდა ვაღიაროთ რომ საკმაოდ რთულია გაარჩიო რელურად რა ამოძრავებს მეწარმეს ხშირად გვიან ჩნდება ეს მიზეზები. ვფიქრობ ნახსენები პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია საცდელი და საკნტროლო ვადის გაზრდით ან უკუკავშირის გზის დანერგვით მეწარმე სუბიექტს როგორც ვალდებულება რომ ჩავუდოთ აწარმოოს დაკვირვება ბიზნესზე და ანგარიშის სახით წარუდგინოს რამოდენიმე წლის განმავლობას დამფინანსებელ ორგანიზაციას. თუნდაც რომ ავიღოთ საზღვარგარეთული მაგალითები. კრედიტზე უზრუნველყოფას სახემწიფო შეწყვეტს როცა გაცემული გარანტიის სარგებლობა ხდება არამიზნობრივად. ასევე კონტროლი მეწარმე სუბიექტის საქმიანობაზე რასაც უპრიანია ძირი სააგენტო ვერ შეძლებს და როგორც ვახსენეთ საჭიროა არსებობდეს ადგილობრივი დაყოფა ამ

მიმართულებით. საჭირო და უკვე სავალდებულოცაა ეს საკონსულტაციო და საკონტროლო აპარატები ამუშავდნენ ადგილობრივადაც თუნდაც გარკვეული პერიოდით და არა მუდმივად. ავიღოთ თუნდაც აგრო მიმართულების რაიმე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა , რომლის განხორციელების შემდეგ სავალდებულოდ უნდა იქცეს პერიოდული შემოწმება საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ასევე დასანანია და ყურადსაღები თუ, როგორ იყიდება ტენდერები საქართველოში დღეს, ეს პრობლემა წლებია არსებობს და ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ვთვლი რომ ამ მიმართულებით კანონმდებლობაში საჭიროა შევიდეს ლოგიკური ცვლილებები. თუნდაც ავიღოთ აჭარის ჰესები, რომლებსაც უნდა განევითარებინა და დაეხვეწა აჭარის მთიანი მუნიციპალიტეტები და ჯერ კიდევ მხოლოდ ახალ პრობლემად რჩება, რის გამოც ზიანდება გზები, ინფრასტრუქტურა, ნადგურდება მოსავალი, წყდება სასმელი და სარწყავი წყლები, იყიდება მიწები და ა.შ. ამავდროულად დასაფიქრებელია ის ფაქტიც რომ ერთი ხიდის მშენებლობა რატომღაც არაერთხელ ხდება. ჩამოყალიბდნენ ბაზარზე მონოპოლისტი პირები , რომლებიც უკონკურენტოდ იმარჯვებენ გამოცხადებულ ტენდერებში და მათ გამო თუნდაც ახლად აშენებულ შენობებს დასრულებამდე პრობლემები ექმნება.

სწორედ ამის ფონზე აუცილებელია კონტროლის მექანიზმის დახვეწა , კონტროლი უნდა იყოს არა ერთჯერადი, არამედ პერიოდული და მიზანმიმართული. უნდა ჯარიმდებოდეს ტენდერის მფლობელი ისე რომ კომპენსირება ზიანისა, სწრაფად და ეფექტურად მოხდეს, გარდა ამისა აუცილებელია ტენდერის გამოცხადებისას დაცული იყოს ჯანსაღი კონკურენცია რათა ამოიფხვრას მონოპოლია და ერთფეროვანი მიდგომა სამშენებლო თუ სხვა სფეროების მიმართებით.

საზღვარგარეთული გამოცდილებით ინვესტირების პროცესი მოწმდება მიზნობრივი გეგმის მიხედვით. თუნდაც ციტრუსის მაგალითი ავიღოთ, სახელმწიფო მეწარმე სუბიექტს ვალდებულებას აკისრებს ყველა საქმიანობა განახორციელოს რაც ციტრუსის წარმოებას უკავშირდება,იგი ვალდებულია სრულად დაახარჯოს ის გაწეული ხარჯი პროდუქტს რისი გადახდაც მოუწია სახელმწიფოს დაწყებული

ჩითილიდან დამთავრებული უკვე მზა პროდუქტამდე. გარდა ამისა სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დაეხმაროს გლეხს რეალიზებაში.

აქვე აღსანიშნავია და ხაზგასასმელი თუნდაც ის ფაქტი რომ სოფლად მცხოვრები საზოგადოება ჯერ კიდევ მოიხსენიება ,,გლეხად„ , სოფლის მეურნეობით დაკავებულ ადამიანად და არ უთანაბრდება სხვა მეწარმეებს, ეს გარკვეულწილად აკნინებს მათ როგორც ბიზნეს სუბიექტებს სტიმულს უკარგავს ფერმერს და სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა დაიგეგმოს ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პროფესიის პოპულარიზაციას და დაფასებას. ვფიქრობ ეს მიმართულება ყურადსაღები და ამავე დროს ძალზედ დიდი მნიშვნელობის მატარებელია. საჭიროა გავააზალგაზრდავოთ ეს მიმართულებები. წინ წამოვწიოთ არაფორმალური განათლება და დავაფასოთ საქართველოში ეს სფეროები რომლებიც მიძინებულია და საჭიროებს განახლებას.

საჭიროა რა თქმა უნდა სილიკონის ველის, ბიზნეს ანგელოზების და სხვა მსგავსი ინსტიტუტების დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში. როგორც ზემოთ ვახსენეთ საქართველოს აქვს უნარი და ნიჭი მაგრამ აკლია გამოცდილება და ამ გამოცდილებას წვრთნა სჭირდება, რასაც აღნიშნული ორგანიზაციების მსგავსად ჩვენს ქვეყანაშიც ესაჭიროება აქტიური მუშაობა, ტრენინგები, სემინარები, რომლებიც არა მხოლოდ დამწყებ არამედ უკვე მოქმედ მეწარმეებს დაეხმარება დახვეწონ და კარგად შეისწავლონ მათ ხელთ არსებული რესურსები ეფექტური გამოენება.განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება ჯერ კიდევ უმთავრეს პრობლემად რჩება ქვეყანაში. ისევე როგორც ხეს ფესვები, მეწარმესაც სჭირდება მოვლა და კარგი საფუძველის მიცემა რათა შეძლოს მან ფეხის მოკიდება ბაზარზე რათა განვითარდეს.

შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბოთ შემდეგი საფეხურები რაც დასახვეწია:

- თანამედროვე სტანდარტს და ხარისხს მორგებული საქონლისა და მომსახურების შექმნა (საჭიროა დაიხვეწოს აგრო მიმრთულებბა , ფერმერული მეურნეობა, ტექნიკა და ტექნოლოგია);
- საჭიროა ადგილობრივი ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრების გახსნა (სატრენინგო, იურიდიული, საგადასახადო მიმართულებით);

- კონტროლისა და შეფასების აპარატის თვითმმართველი ორგანოსთვის დელეგირება;
- კადრების კვალიფიციური ზრდა;
- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ჩამოთვლილი და სხვა მრავალი ღონისძიების გატარება სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს იმ ვითარებას რაც გამეფდა ბიზნესის სახელმწიფო დაფინანსების ამოქმედების შემდგომ. ეს თუნდაც უნდა მოხდეს უცხოური გამოცდილების დანერგვით, რომლებმაც ეფექტურად იმუშავა და წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს ჩვენისთანა დამწყები ქვეყნებისათვის. ვინაიდან ეს ფუფუნება ყოველთვის ვერ გექნება და საჭიროა საჭირო დროს სწორი და მართებული რეაგირება. ამით შევძლებთ ძლიერი რეგიონის ძლიერი სახელმწიფოს აშენებას ყველა ერთად ერთიანი ძალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე . .2008: აბესაძე რამაზ, კაკულია ეთერი, “მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში”. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

2. ადვაძე დ., სადისერტაციო ნაშრომი “მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“, თბილისი 2015;

3. ასათიანი 2009: ასათიანი როზეტა, “საქართველოს ეკონომიკა”, ნაწილი I, გამომცემლობა “სიახლე”, თბილისი.

4. გვენეტაძე. 2007 გვენეტაძე ლილი ,,ფინანსების ზოგადი თეორია“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ჯანო ბაგრატიონის N6, თბილისი.

5. ერქომაიშვილი 2007: ერქომაიშვილი გულნაზი, “ ბიზნესი _ ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები”, თბილისი.

6. იაკობიძე 2010: იაკობიძე დავით, “საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები”, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული.

7. ლიპარტელიანი . . .2009: ლიპარტელიანი ნინო, ჯოლბორდი მამუკა. “ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში”. (XIX ს.-XXს-ის I ოცწლეული). გამომცემლობა “მერიდიანი”. თბილისი.

8. მასურაშვილი 2008: მასურაშვილი სოსო, “ინოვაციების ბაზრის ძირითადი მიმართულებები ბიზნესში”, ჟ. “ახალი ეკონომისტი” #2

9. მესხია 2011: მესხია იაკობ, “ბიზნესის საფუძვლები”, თბილისი

10. ოთინაშვილი 2010: ოთინაშვილი რამაზ, “საქართველოს ეკონომიკა”, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი

ინტერნეტ-წყაროები:

11. "გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში ", ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/ მოძიებულია 20 ივნისს 2020.

12. "მეწარმეობა საქართველოში", საქსტატი, 2008-2009-2010 წლების სტატისტიკური პუბლიკაციები, https://www.geostat.ge/ka

13. რეგიონული სტატისტიკის მონაცემები , https://www.geostat.ge/ka

14. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ". საქსტატი, **https://www.geostat.ge/ka**

15. ,, აჭარაში ევროკავშირის დაფინანსებით სოფლის განვითარების ახალი პროექტები იწყება ,,, http://eugeorgia.info/ka

16. ,, საქართველოს სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილია" https://forbes.ge/news

17. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის„ https://matsne.gov.ge/ka/document/download/3206386/0/1

18. BusinessPressNiews-ფინანსები, https://www.bpn.ge/article/2173-sakartvelos-bankma-mcire-biznesze-sesxebis-gasacemad-saertashoriso-dapinanseba-miigo/

19. სტატია: „ საქართველოს ბანკი მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვან სერვისებს სთავაზობს". 24 ივლისი, 2018. ახალი ამბები ქართულად. https://forbes.ge/news/4389-/saqarTvelos-banki-mcire-bizness-servisebs-sTavazobs

20. К. М. Пирогов, Н. К. Темнова, И. В. Гускова. Основы организации бизнеса, Электронный учебный курс. М. 2008

21. ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეები (თებერვალი 2020) , მოძიებულია 30 მარტი, 2020, https://www.bpn.ge/article/65683-tegeta-motorsma-evropuli-biznes-asociaciis-eba-s-bordis-shexvedras-umaspinzla

22. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა . მოძიებულია 6 ივლისს 2020 http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka.

23. საბოლოო ანგარიში – ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სასოფლო-სამეუნეო კოოპერატივები საქართველოში . მოძიებულია 20 ივნისს 2020. http://enpard.ge/ge

24. ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროგრამებს/პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო კომპანიებს. მოძიებულია 7 ივლისს 2020. http://rda.gov.ge/projects

25. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2020. მოძიებულია ივნისი 5 ივნისი 2020. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=351

26. 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების გავრცელების კალენდარი მოძიებულია 10 ივნისს 2020. https://www.mof.ge/2020_statistikuri_monacemebis_kalendari

27. „მდგრადი განვითარების მიზნები "მოძიებულია 1 აგვისტო 2020. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html

დანართები:

ჩატარებული კვლევის შედეგები-გამოკითხვის ლინკი:

https://docs.google.com/forms/d/1Ga1PdVLC2d0fLdXxg6JWPcc6Y2spPJp0Q-BA9VKdyW4/edit#responses

დიაგრამა №9



დიაგრამა №10